

ინსტიტუტი საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАРТВЕЛО

24 სექტემბერი 2021წ. №22 (4021) გამომცემის 90-ე წელი ვასი 1 ლარი

თიბურაზ ლლონი

ქვევრში, ჭურში ღვინის დაყენების ტრადიციას ჩვენში რამდენიმე ათასწლოვანი ისტორია აქვს, ქართველთა წინაპრებმა თიხის ჭურჭელში ღვინის დაყენება 8000 წლის წინათ დაიწყეს. XIX საუკუნის შუა ხანებამდე ჩვენში ღვინის დასადუღებელი, დასაავარგებელი და შესანახი ერთადერთი ჭურჭელი ქვევრი, ჭური იყო. ტრადიციულად, ქართულ მარანში უმთავრესი ინვენტარი ხანახელი და ჭური, ქვევრი იყო, მაგრამ მრავალფეროვანი იყო ყურძნის დანურვის, დუღილის და დავარგების წესები, რომლებიც საქართველოს ცალკეულ მხარეთა მიხედვით თავისებურებით გამოირჩეოდა. ამგვარი მრავალფეროვნების განმამპირობებელი არაერთი ფაქტორი იყო, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ

ნიუანსები. ამ გზით იქმნებოდა, ერთი მხრივ, ვაზის მდიდარი გენოფონდი, მეორე მხრივ კი სხვადასხვა ტიპის ღვინის მრავალფეროვანი ასორტიმენტი. ამგვარი მრავალფეროვნების საფუძველი იყო ჭურში, ქვევრში ღვინის დაყენების ორიგინალური ტექნოლოგიური წესები. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია საქართველოში ჭურში, ქვევრში ღვინის დაყენების ოთხგვარი წესი. ეს წესებია: 1. კახური, რომელიც ითვალისწინებს დანურვლი ყურძნის ტკბილის დადუღება-დავარგებას სრულ ჭაჭაზე (კანი, კლერტი, წიპნა). 2. იმერული, რომელიც გულისხმობს ყურძნის ტკბილის დადუღებას ჭაჭაზე (მცირე რაოდენობით). 3. ბუნებრივად ცქრიალა ღვინის დაყენების წესი, რომელიც ითვალისწინებს ყურძნის ტკბილის დადუღებას ჰერმეტიკულად თავდახურულ ჭურში, ქვევრში. 4. ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინის დაყენების



კალისტრატე სალია – 120

ინტელექტუალური სამსახურის რაინდი

ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტს 1400-ზე მეტი იშვიათი გამოცემა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ლათინურ ენებზე; მათ შემოგვინახეს ქართველი ემიგრანტი მეცნიერების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პირადი არქივები.

კალისტრატე სალია არის ის მეცნიერი, რომელმაც გააერთიანა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართველოლოგიური კვლევა ევროპაში. მის სამეცნიერო ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ იგი არჩეული იყო ლუვენის, ოსლოს, ბამბერგის, ბორდოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორად. იყო ხმელთაშუაზღვისპირეთის აკადემიის, პარიზის სააზოო, საისტორიო და ლინგვისტური საზოგადოებების წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი.

1980 წელს ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა შრომა „ქართველი ერის ისტორია“, რომლისთვისაც საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემია მიენიჭა.

საქართველო და ქართველის ბედი იყო მისი საფიქრალი და საზრუნავი. 1953 წელს გრიგოლ რობაქიძესთან ინტერვიუში კალისტრატე სალია წერდა: „საშინელ ხანაში ვცხოვრობთ... მსოფლიო ჭიდილის განუზომელ არეზე ჩვენც გვაქვს მოკუთვნილი ერთი ადგილი და სწორედ აქ გვმართებს გამოჩენა გონიერებისა, ნიაღვარმა არ გადაგვქელოს და არ აღგვგავოს პირითაგან მინისა. გული გიკვდება და სასონარკვეთილება გიპყრობს, როდესაც წარმოდგენ ნამდვილ სურათს ჩვენი მდგომარეობისა... გზა-კვალი დაგვებნა და ჩვენი ისტორიული მოვალეობა დაგვაფიცდა...“

პრობლემა ისევ დღის წესრიგშია. დღის წესრიგშია პრობლემის დაძლევის გზაც, რომელიც კალისტრატე სალიამ გვიჩვენა თავისი ღირსეული ცხოვრებით. ეს არის – წარსულის შესწავლა, ანმეოს გააზრება, მომავლის განსაზღვრა.

მან თავისი ცხოვრებით დავანახა, თუ რას ნიშნავს მეცნიერის პასუხისმგებლობა დროისა და ისტორიის წინაშე და გვიჩვენა მაგალითი, თუ როგორ უნდა აღასრულო შენი ვალი ერისა და ქვეყნის მსახურებისა.

კალისტრატე სალია – ინტელექტუალური სამსახურის რაინდი, ეთიკური სინამდის ეტალონი, განათლებული ადამიანის კლასიკური ტიპი.


მისი ცხოვრების რთული გზა იყო სვლა ბედით განსაზღვრული ვალდებულებისა და საქმის აღსრულებისკენ.

დაწყებული წალენჯიხიდან, სოფელ ჯგალიდან, სადაც დაიბადა 1901 წლის 26 აგვისტოს, დამთავრებული დიდუბის პანთეონით, სადაც დაიკრძალა მისი ნეშტი, არის ცხოვრება და მოქალაქეობა მოღვაწისა, რომელიც შესაძლებლობათა მინიმუმიდან მაქსიმუმს აკეთებდა ვასაჭირში ჩავარდნილი სამშობლოსათვის.

შემეცნებისა და თვითგანვითარების აღმასვლა, როგორც ინტელექტუალურ სათნოებათა კიბე – ზუგდიდის სასწავლებელი, ხაშურის გიმნაზია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰალეს უნივერსიტეტი, სორბონა და შემდეგ სამეცნიერო პრაქტიკა და მამულიშვილური საქმიანობა, განუვლი მუდღესთან, ნინო ქურციკაშვილთან ერთად. 1948 წელს მათ დააარსეს, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით, ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომელმაც ეპოქა შექმნა დასავლურ ქართველოლოგიაში; მათ გადმოსცეს

მისი უდიდებულესობა ქვევრი


ჭურში ღვინის დაყენების „კოლხური წესის“ რამოზაზე



ვაზის ჯიშის თავისებურებანი, ნიადაგურ-კლიმატური პირობები, ადამიანთა ფსიქიკური ნყოფა, ზნე-ჩვეულებები, გარემოსთან ხანგრძლივი ურთიერთობის პროცესში შექმნილი ცოდნა-გამოცდილება და ხასიათის

წესი. მაგრამ გურია-სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარაში არსებობს ჭურში, ქვევრში დაყენების კიდევ ერთი ორიგინალური
▶▶ დასასრული. 89-12 გვ.

თამაზ ნივნივაკის სახელოვნის პრემია	ინტარვიუ	სამშობლოს გამორჩეული ცრეპლი	სტეფანა ორი თითით	შპვილოვა თალიბანურად
83.2	კნუტს სკუანიქსი	გურამ დოჩანაშვილი	ნინო ღარბაიანი-სტრონი	გულნარა სტურუა
	83.3	83.4	83.6-7	83.10



პანო ჩხიკვაძე


გოგი წერეთლის ხსოვნა

ნატანჯი სული და
ნატანჯი სხული,
სიცოცხლე სიკვდილში გაჯერდა,
მტრედევით უმანკო
და შემორჩეული
ლიმილი თვალეში გაჩერდა.

ჯადოქარ თითებში
გადატყდა ფუნჯი და...
გათავდა,
ალარ ხარ საჩვენოს.
თავს დავხრი, ოსტატო,
დღეიდან უჩინარს,
რომ ჩემი ცრემლი არ გაჩვენო.

სამშობლოს იღბალზე
რამდენჯერ დაღონდი –
„პალიტრა“ ვერ უძლებს გლოვისფერს.
ქვიმა შეშრიალდა,
მახათას ქვა-ლორღი
ჯაჭვის პერანგით მოირგე!

თბილისი
14 აგვისტო 2021



გიორგი (გოგი) წერეთელი

ამ მოკლე დროში საქართველოს კულტურამ და კერძოდ კი საქართველოს მხატვართა კავშირმა კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ცნობილი გრაფიკოსი, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი გიორგი (გოგი) წერეთელი.

გოგი წერეთელი დაიბადა 1944 წელს ლანჩხუთში. 1964-1970 წწ. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, შემდეგ სწავლა განაგრძო სსრკ სამხატვრო აკადემიის გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში. გოგი წერეთელი მეოცე საუკუნის 70-იანი წლების მხატვართა თაობის წარმომადგენელი იყო და მისთვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ ის შემოქმედებითი შედარებითი თავისუფლება, რომელიც ე.წ. დათბობის პერიოდმა მოიტანა. მან შესანიშნავად გაითავისა, წინა ორი თაობის გამორჩეულ ხელოვანთა შემოქმედებითი მიღწევები, რომელთა შემდგომი განვითარებისა და პროფესიული დაოსტატებისათვის მხატვარი ძალ-ღონეს არ იშურებდა. გოგი წერეთლის შემოქმედებითი აქტივობა განსაკუთრებით წინა გრაფიკაში გამოვლინდა. იგი უზადო გემოვნებითა და მაღალი პროფესიული ოსტატობით ქმნიდა წინა მხატვრული გაფორმების გამორჩეულ ნიმუშებს (ი. ცურტაველის „მუშანის ნამება“, თ. ჭილაძის „პოსეიდონის სასახლე“ ა. კალანდაძის „რჩეული“, მ. მაჭავარიანის „ვიტარცა მტკვარი“, მ. ლებანიძის „რჩე-

ლი ლექსები“ და სხვა). გოგი წერეთელი იყო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ და ჟურნალ „ცისკრის“ მხატვრული რედაქტორი. ქართული მწერლობის წინაშე განუვლი ღვაწლისთვის მიანიჭეს გალაკტიონ ტაბიძის პრემია. გოგი წერეთელი არაერთხელ დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით გრაფიკის საერთაშორისო ბიენალეებზე. მისი გამორჩეული ხელნერი შესრულებული ნამუშევრები არაერთგზის იყო ნომინირებული წლის საუკეთესო ნამუშევრად. გოგი წერეთელი, წინა გრაფიკის გარდა, სხვადასხვა სახის გრაფიკული ტექნიკით (ოფორტი, ლინოგრაფიურა, ლითოგრაფია და სხვა) ქმნიდა ორიგინალური კომპოზიციური და იდეური დატვირთვით გამორჩეულ მრავალფეროვან დაზგური გრაფიკის ნიმუშებს („შემოდგომის ფოთოლი“, „ცისარტყელა“, „მოლოდინი“, „ოდა საქართველოს“, „ძველი კარუსელი“, „სახელოსნო“ და სხვა), ასევე, აბსტრაქტულ ქმნილებებს. გარდა ამისა, მხატვარი ფერწერული ნამუშევრებითაც არაერთხელ მონაწილეობდა ხელოვნების მოყვარული საზოგადოების წინაშე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოწყობილ ჯგუფურ გამოფენებში, მსახველი იხილებოდა მისი პერსონალური გამოფენებით. გოგი წერეთლის ნამუშევრები დაცულია როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის სახელმწიფო მუზეუმებსა (ლუდვიგის მუზეუმი, გერმანია, რიო-დე-ჟანეიროს და სოფის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში, ბრაზილიასა და ბულგარეთში, აშშ-ში და სხვა) და კერძო კოლექციებში.

არაჩვეულებრივად თავმდაბალი, ამავდროულად სამართლიანი და პრინციპული, შესანიშნავი პედაგოგი, კოლეგა და მეგობარი – ასეთად დარჩება გიორგი (გოგი) წერეთელი მისი ახლობლების, მეგობრებისა და ხელოვნების დამფასებელთა მხესიერებაში.

საქართველოს
მხატვართა
კავშირი

თაბაზ ნივნივაძის პატივის მონათვემად

დაარსდა გამოჩენილი ქართველი მწერლის, კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის თაბაზ ნივნივაძის ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს მრავალმხრივ შემოქმედებით, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ფონდი წელიწადში ერთხელ გასცემს „თაბაზ ნივნივაძის პრემიას“ შემდეგი ნომინაციების მიხედვით:

წლის საუკეთესო კრიტიკული წერილი (მთავარი პრემია);

წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები;

წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები;

წლის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოები.

გამარჯვებულებს გამოავლენს სპეციალური ჟიური.

პრემიები გაიცემა 2022 წლის იანვარში.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ავტორებმა და კერძო პირებმა, ისე ორგანიზაციებმა – მისამართზე: თბილისი, ზანდუკელის ქ. №1, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია.

ელექტრონული ვერსიებისთვის: litsa-qartvelo@yahoo.com



ლევიძე (ლევან) ერისთავი

საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუნება, რომ გარდაიცვალა მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ქართული მხატვრობის კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი დიმიტრი (ლევან) ერისთავი. დიმიტრი ერისთავი მხატვართა იმ შესანიშნავ კოორტას განეკუთვნებოდა, ედმონდ კალანდაძის, ვიხარაძის და სხვათა სახით, რომელთაც დაამკვიდრეს ქართულ არტსივრცეში ე. წ. „ნეომოდერნიზმი“. ე.წ. ორმოცდაათიანელთა კვალად, სამოციანელთა თაობამ ღირსეულად განაგრძო მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ქართველ მოდერნისტ მხატვართა: დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, შალვა ქიქოძის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის და სხვათა შემოქმედებითი გზა – შეძლო ქართული მხატვრობის ახალი სიმაღლეების დაპყრობა.

დიმიტრი ერისთავი დაიბადა თბილისში 1931 წელს. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე. იმთავითვე მისი ინტერესი მიმართული იყო გრაფიკული ხელოვნებისაკენ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდან მის პედაგოგებს: იოსებ შარლემანს, სერგო ქობულაძეს,

ლადო გრიგოლიას და დედა გაბაშვილს. მხატვრის სადიპლომო ნამუშევარმა – ილუსტრაციები ანატოლ ფრანსის მოთხრობისათვის „კრეკებილი“ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და გაუმყარა მის პედაგოგებს, ქართული მხატვრობის ნამდვილ მეტრებს, იმის რწმენა, რომ დიმიტრი ერისთავის სახით ქართულმა მხატვრობამ თვითმყოფადი, ორიგინალური ხელწერის, მაღალი დონის პროფესიონალი შეიძინა. მალე დიმიტრი ერისთავი თვით გახდება თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, შემდგომ კი პროფესორი. მან დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდა ნიჭიერი გრაფიკოსების აღზრდის საქმეს. 1957 წლიდან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, შემდეგ საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი და მრავალი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენის მონაწილე.

დიმიტრი ერისთავის შემოქმედება მრავალფეროვანია. იგი იყო გრაფიკოსი, წინა ილუსტრატორი, პლაკატისტი, გრაფიკული პორტრეტის, ყოფითი სცენების ავტორი. ამავე დროს, იყო მრავალი მნიშვნელოვანი კინოშედეგის დამდგმელი მხატვარი („იყო შაში მგალობელი“, „გიორგობისთვე“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „მთვარის ფავორიტები“ და სხვა). დიმიტრი ერისთავის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის მიერ შემუშავებულ ორიგინალურ გრაფიკულ სერიას ძველი და ახალი თბილისის ცხოვრებიდან; საოცარი სითბოთა განმსჭვალული თბილისური ცხოვრების ამსახველი ყოფითი სცენები სახასიათო პერსონაჟებით („კლასობანა“, „იების გამყიდველი“, „გადასასვლელზე“, „გაზაფხული“, „ლალიდის წყლები“), შრომითი საქმიანობის აღმნიშვნელი მარკერებით აღბეჭდილი დასამახსოვრებელი სახეები: „მესაათე“, „მეზოვე“ თუ „მლესავი“ და „ხარატი“. დიმიტრი ერისთავის ნამუშევრები დაცულია როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ქვეყნების სახელმწიფო სამუზეუმო საცავებსა თუ კერძო კოლექციებში. მისი ღვაწლი ჯეროვნად დაფასდა სახელმწიფო ჯილდოებით. იგი იყო საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის (1990) და შოთა რუსთაველის ეროვნული პრემიის ლაურეატი (2006), „ღირსებისა“ და „ბრწყინვალეების“ ორდენების კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე (2016).

დიმიტრი ერისთავის სახელი ოქროს ასოებით ჩაინერება ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში.

საქართველოს
მხატვართა კავშირი

ემზარ კვიციანი სიყრმის მეგობარი

(სახელდახელო პორტრეტი)

წარბაზიდულ და თავგადასრულ გოგიას კარტი უჭირავს, „ფლემი“; იცის, დატოვებს ფარჩა-ძონეულს, ადამიანი გახდება ლემი.

ოცნებად პირინეი მოგორავს, წვალობს, ნაფიქრი დაწნას, აროკოს, ჩახლართულს უტრიალებს გონგორას, ესპანურს ადრის ქართულ ბაროკოს.

ყველაფერი აქვს ნაპოვნ-ჩასმული, მიერეკება ჟინი, კაპასი, სამაგალითოდ სიტყვის, კაზმულის არაკებს არაკრავებს საბასი.

სწადია, შეკრას დაშლილი ტივი და გააბრწყინოს ერი ტანჯული, გაბმულს, ასე რომ აგონებს კივილს, ჩუქურთმად იცნო მან კრიმანჭული.

ჯორდანო ბრუნოს სონეტსაც სინჯავს, ანათებს მაღალ საწოლს ნეონი; წლობით ნააზრევს მოარგო დინჯად გალაკტიონი და აკტეონი.

განჭვრიტა, შეეკამათოს ვისაც, დროც შეარჩია დარტყმის, შეტევის; შეენის, უხდება სამოსელს მისას თეთრი საყელო და მანუეტები.

მონყენილია, განწყობას იქმნის, ღრუბლები განწენს ოქროს ლენტებად... გაუვარდება ხელიდან წიგნი, საბანმოსურულს დაათენდება.



გოგი
ბაჩვილიძე



კნუტს სკუნიანიძის: „უმაღურობა იქნება ვითქვა, სამართლიანობას ვერ მოვინარაღებ-მითქი...“

— კნუტს, ჩვენ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გავიცანით ერთმანეთი კიევში. შენ ის-ის იყო დაბრუნდი საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკში „მივილინიდან“. რისთვის გერგო ასეთი „პატივი“ შენ მიყვებოდი, „ბრიტანული ენციკლოპედიის“ კითხვისთვისო...

კნუტს სკუნიანიძისი — პოეტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე. თანამედროვე ლატვიური პოეზიის პატრიარქი. დაიბადა 1936 წლის 4 სექტემბერს, რიგის მახლობლად. დისიდენტური წარსულის გამო პირველი წიგნის გამოცემა მხოლოდ 1978 წელს მოახერხა. ამჟამად გამოცემულია მისი ნაწარმოებების ცხრათომეული. მიღებული აქვს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — სამი ვარსკვლავის ორდენი, ლიტვის, პოლონეთის, დანიის, შვეციისა და სხვა ქვეყნების ორდენები და მედლები. ფლობს და თარგმნის ათზე მეტი ევროპული ენიდან. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა პენკლუბის ლატვიის განყოფილებას. ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამოციანელად.



სურათზე: კნუტს სკუნიანიძისი (მარჯვნივ) და რაულ ჩილაჩავა

— დავაზუსტებ შეკითხვას. მე არა მარტო ვკითხულობდი „ბრიტანულ ენციკლოპედიას“, მე იგი შინ მქონდა. ეს გამოცემა მოსკოვში ამერიკული გამოფენის ორგანიზატორებმა მაჩუქეს 1959 წელს და გააკეთეს ეს ფრიად პოლიტიკორექტულად — მას აკლდა ტომი საბჭოთა კავშირის შესახებ.

— სხვათა შორის, ჩვენთან იყდა ერთი ქართველი გენერალი, თუ არ მემლება, გვარად დავლიანიძე. ლეგენდა ასეთია: 1956 წლის მარტში, როცა სტალინის კრიტიკის გამო თბილისი სახალხო მღელვარებამ მოიცვა, იგი თითქოს სრულ ფორმაში (თუმცა მაშინ უკვე გადამდგარი იყო) წინ გადაუდგა დამსჯელ რაზმს და უარი ათქმევინა დემონსტრანტების დახვრეტაზე. როცა გენერალი გარდაიცვალა, მთელი ბანაკი ქართველების გვერდით ვიდექით საპატიო ყარაულში.

— გამოუვიდა, მაგრამ ცოტა ხნით... ომი რომ არა, თვითონ ხალხი მოსთხოვდა გადადგომას, რადგან მან არ შეასრულა ორი უმთავრესი დაპირება: არ მოინვია ახალი პარლამენტი და არ შექმნა ახალი კონსტიტუცია.

მძღვანელები, მას შორის პრეზიდენტი ვაიკა ვიკე-ფრეიბერგაც, განგაშით წერდნენ რუსეთთან დაკავშირებულ საფრთხეზე. ეს იყო სუვერენული საქართველოს მიმართ მოსკოვის აგრესიის შემდეგ, დარწმუნებული ხარ, რომ ნატოს მეხუთე პუნქტი ამოქმედდება? მადლობა ღმერთს, მას ასეთი გამოცდილება ჯერ არ ჰქონია.

ასხენე, მწერალთა კავშირის გარდა, მხატვართა და კინემატოგრაფისტთა კავშირებიც იყო. სიდიდის გამო შემოქმედებით მუშაკებს არც მისი პრივატიზება შეეძლოთ და არც იჯარით ალება. მსგავსი ვითარება შეიქმნა დუბლუტის შემოქმედებით სახლებთან დაკავშირებითაც. იქ ახლა მწერლებს ორ პატარა სახლში 10 ოთახი აქვთ დათმობილი. ნომერი ღირს თითქმის 400 ევრო კვების გარეშე.

— მაშ, რაში გამოიხატებოდა შენი დანაშაული?
— საქმე ისაა, რომ ჩვენ, ახალგაზრდა ლატვიელი ლიტერატორების მცირე ჯგუფი, გულმოდგინედ ვემზადებოდით მწერალთა რესპუბლიკური ყრილობისთვის, რომელიც 1962 წელს უნდა შემდგარიყო. გვსურდა, შეგვეცვალა ქვეყნის ლიტერატურული პოლიტიკა, „ჩამოგვეგდო ბებერი „ქორ-შეგარდები“, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ისინი თვლემდნენ. მართალია, ყრილობა არ შემდგარა, მაგრამ, სამაგიეროდ, შედგა პლენუმი. ჩემი დაპატიმრებაც მას „მიეძღვნა“. მაშინ ვიზმა ბელშევიცის დაჭერაც უნდოდათ, თუმცა ბოლოს სოლომო-ნისეული გადანყვებილობა მიიღეს და „კავებეს“ იზოლაციაში ერთდღიანი დაკავების შემდეგ გამოუშვეს.

— იყო კიდევ ერთი ქართველი, რომლის გვარიც ზუსტად მახსოვს — სანაია. მაღალი, სანდომიანი მამაკაცი. როცა ლატვიელები გათავისუფლებულ თანამემამულეს ვაცილებდით, სანაიაც ჩვენთან იყო. ზედამხედველი ეკითხებოდა: — სანაია, შენც ლატვიელი ხარ? — აბა რა! — პასუხობდა იგი. ასე რომ, ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვექონდა უკრაინელებთანაც და ქართველებთანაც. და ეს საბანაკო სოლოდარობა გვეხმარებოდა ჭირთათმენაში.

— ლატვია ევროკავშირისა და ნატოს წევრია. გრძნობთ თუ არა ცვლილების სიკეთეს? რა გავლენა მოახდინა უბრალო ადამიანების ბედზე ისტორიის ასეთმა შემობრუნებამ?
— უპირველესად, უზრუნველყოფილია პიროვნების თავისუფლება და ქვეყნის ფიზიკური უსაფრთხოება. სიკეთე უკომენტარებოდაც ნათელია. ერთი მხრივ, არსებობს ნატოს წესდების მეხუთე პუნქტი, მეორე მხრივ კი, არა მგონია, ევროკავშირმა დაუშვას ლატვიაში ავტორიტარული რეჟიმის შექმნა, რაზეც ბევრი პოლიტიკანი ოცნებობს. სხვა საკითხია ის, რომ ადამიანებს კვლავ სურთ, რათა მათ ნაცვლად პასუხი სხვებმა აგონ. ამას ბოლო არ უჩანს. და მაინც ვიმედოვნებ, რომ დადგება დრო, როცა ყველა ჩვენგანი თვითონ იქნება პასუხისმგებელი საკუთარ თავზე. ესეც თავისუფლებისა და დემოკრატიის საფასურია.

— ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა რუსეთი ჭკუას მთლად დაკარგავს, რაც ნაკლებ სავარაუდოა. ამჟამად თვის უირინოვსკიც კი ამბობს, რომ ლატვია უყვარს და არ გაპყვირის, მანდ ატომური ბომბი ჩამოვადგითო. არსებობს სხვა პრობლემა, რაც ნატოსთან პირდაპირ არაა დაკავშირებული. ეს არის ლატვიასა და მთელ ბალტიისპირეთზე რუსეთის ეკონომიკური გავლენა, რომელიც დასაბალანსებელია.

— ამბობენ, რომ შენ ნობელის პრემიაზე იყავი წარდგენილი...
— პრემიაზე მწერალთა კავშირის გამგებამ წარმადგინა. ჩვენ თუმცა სტოკჰოლმთან ახლოს ვართ (იკინის), გაგება იმისა თუ რა ხდება ნობელის ქურუმთა ტაძარში, შეუძლებელია.

— რამდენი წელი მოგისაჯვს?
— შვიდი.
— კონკრეტულად რაში გედებოდა ბრალი?
— ანტისაბჭოურ პროპაგანდაში. ნივთიერ მტკიცებულებად დაასახელეს ჩემი ლექსები, რომლებიც ჩემსა და „კავებებს“ გამოძიებლების გარდა არავის ნაკითხა. რამდენადაც ძნელი იყო, მათთვის ანტისაბჭოური გვენოვებინა, საკანში ჩამისვეს ატენტი, რომელიც თითქოს ბალტიისპირეთის განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. მას ანტერესებდა ჩემი აზრი, უნდოდა, ჩავეთრიე. მოგვიანებით კიდევ ერთი ბრალდება წამიყენეს — თანასაკენლის მტრული ზრახვები რად არ შეგვატყობინეო. როცა დავბრუნდი, გადმოვირევა და დამიპირეს. მე ვკითხე: „მეგობრებო, განა დავაგინყდათ, რისთვის მიკარით თავი მორდოვეთში? როგორ გინდათ, დამსმენად აქციოთ ის, ვინც დაუსმენლობისთვის გაასამართლეთ?“

— როგორ გეჩვენებოდა შორეული ციმბირიდან ლატვიის მომავალი და როგორი აღმოჩნდა იგი დღევანდელი გადასახედიდან?

— ახლო წარსულში ლატვიურ პროდუქციას საკავშირო ბაზარზე დედინა მახანდა ჰქონდა. მახსოვს, რა ბედნიერი იყო ჩემი ბიჭუნა, როცა მას „VEF“-ის ქარხნის რადიომიმღები ვუშოვე (დიახ, ვუშოვე)! რა ბრუნდებით შეიძლება დღეს მსოფლიო იცნობდეს ლატვიას?

— როგორ შეაფასებდი დამოუკიდებლობის წლებში ლატვიის განვითარებას?
— სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბების პროცესშია, კერძო საკუთრება და ადამიანის უფლებები დაცულია კანონმდებლობით, თუმცა მასი დარღვევის გარკვეული საფრთხეები არსებობს. სიტყვის თავისუფლება კი თავსაყრელად გვაქვს, მაგრამ გვაკლია ჟურნალისტური ეთიკა. ანტიპატიისა ჩვენში ადამიანისთვის შეუფერებელი გზებით ამჟღავნებენ. ჩვენი პრესა ობიექტურობით არ გამოირჩევა. მისგან რომ სწორი ინფორმაცია მიიღო, ძველებურად სტრიქონებს შორის უნდა იკითხო...

— რამდენადაც ვაკვირდები, პოსტსაბჭოურ წლებში თქვენ კურსი (არა მარტო პოლიტიკური, არამედ კულტურულიც) მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთისკენ აიღეთ. თარგმნით მხოლოდ ევროპულ და ამერიკულ ავტორებს. თავად თუ გასაუხობენ მსგავსი ერთგულებით?

— შენ შესანიშნავად ლაპარაკობ უკრაინულად. ესეც იქიდანაა? აკი, გულაგში უკრაინული თითქმის „სახელმწიფო“ ენად ითვლებოდა!
— დიახ, იქიდანაა. როგორც ცნობილია, საბჭოთა რეჟიმი უკრაინაში უფრო არაადამიანური იყო, ვიდრე ჩვენთან. ბანაკში იტანჯებოდა უთვალავი უკრაინელი პოლიტპატიმარი, რომლებთანაც მეც მქონდა ურთიერთობა. უპირველესად დავასახელებ მისილო ოსადრის. იგი აიყვანეს იმის გამო, რომ შინ ინახავდა აშშ პრეზიდენტის დუაიტ ეიზენჰაუერის მიერ ვაშინგტონში ტარას შევჩენკოს ძეგლის გასწავლე წარმოთქმულ სიტყვას.
— ბალტიელების, უკრაინელების, რუსებისა და ებრაელების გარდა იქ ალბათ, კავკასიელებიც იყვნენ...
— უკრაინელები რიცხობრივად ჩემპიონობდნენ. მეორეზე მოდიოდნენ ლიტველები, მესამეზე — ლატვიელები, მეოთხე ადგილს იყოფდნენ ესტონელები და რუსები, მომდევნო კი ქართველებსა და ინგუშებს ეკავათ. ქართველთაგან ყველაზე უკეთ ბიძაშვილები — ზაური და ინდიკო ქობალიები მახსენდება.
— მე მათ ვიცნობდი. ჩვენ ერთი ქალაქიდან ვართ.

— მე ბარიკადებზე განცაცხადე, სიმღერის საფასურის გადახდა მოგვიწევს-მეთქი (სიმღერაში რევოლუციას ვგულისხმობდი). ნაცნობ-უცნობებმა შემომიტყეს: ფუი, ამას რას ამბობო! მაგრამ მე ციხის გამოცდილება მკარნახობდა, რომ ასე იქნებოდა. მაშინ ჩემთვის მთავარი იყო, ლატვია დემოკრატიული ქვეყანა გამხდარიყო, ხალხთა ბელადისა და მამის გარეშე. ამჟამად ვხედავ: დემოკრატია და პარლამენტარიზმი ძნელად ინერგება, მაგრამ სახელმწიფო მართვის სხვა ფორმა ვერ წარმოიმდგენია.

— ლატვიას ამჟამად მიძიმე დრო უდგას, რომელსაც როგორმე უნდა გაუძლოს. მან მთლიანად უნდა გადაახალისოს თავისი ინდუსტრია, მთლიანად!
— რა უნდა გადაახალისოს? ინდუსტრიიდან, მგონი, არაფერი აღარ დარჩა...

— როგორ აისახა შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრებაზე პოსტსაბჭოური ცვლილებები? როგორ ცხოვრობს დღეს ლატვიელი მწერალი, მხატვარი, მეცნიერი... ბომონდი, ერთი სიტყვით?
— სასაცილო რამეს მოგიყვები. ვთქვათ და, პრეზიდენტთან მიმინვიეს სტუმრად. ვინევე სმოკინგზე ქვეყნის უმაღლესი ჯილდოს — სამი ვარსკვლავის ორდენს (მე არ მრცხვენია, რომ ის მივიღე, ბევრი სხვა ვინმესგან განსხვავებით!) და, რაკი ტაქსის ფული არა მაქვს, ვჯდები სალასპილის-რიგის სარეისო ავტობუსში. ამ დროს სმოკინგორდენიან მასხარას რომ არ დავემსგავსო, მხრებზე ლაბადას მოვისხამ ხოლმე. როგორ ფიქრობ, ეს როგორ ახასიათებს ჩემს მდგომარეობას? ამავ დროს, მე ვიცნობ მწერლებს, რომლებიც უბრალოდ შიმშილობენ...

— ჩვენ ვთარგმნით ყველას, ვისი თარგმნაც შეგვიძლია. ჯერჯერობით კი შეგვიძლია არცთუ ბევრი. რამდენიმე წლის წინათ ვეტებორგში იყო ლატვიისადმი მიძღვნილი წიგნის ბაზრობა. მე იქ საპატიო სტუმრად ვიყავი მიწვეული. მერე ნორვეგიულ პრესაში წავიკითხე: შევციათ ერთ წელიწადში 12 ლატვიელი ავტორის წიგნი გამოცემა, ჩვენ კი არც ერთისო. კარგად იცნობენ ჩვენს ლიტერატურას ჩეხეთში: იქ ჰყავთ კადრები, რომლებიც პირდაპირ ლატვიურიდან თარგმნიან. წლეულს პირადად ჩემი ორი წიგნი გამოვიდა პოლონეთსა და ბულგარეთში. ალბათ, მალე მივიღებ ახალ გამოცემას იტალიიდანაც.
— კნუტს, შენ, ალბათ, საზღვარგარეთ გყავს ლიტერატურული აგენტი ან აგენტები, რომლებიც...
— კარგი, კარგი, თუ ეს ხუმრობა არაა, მაშინ ჩემს შესაძლებლობებზე მართლაც გადაჭარბებული წარმოდგენა გქონია. არა, რა თქმა უნდა, არავითარი აგენტები მე არა მყავს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ნამდვილად არ მანყენდა.
— კიდევ ერთი შენი ყოფილი თანამემამულე, სერგეი ვიზენშტეინი ამბობდა: „ჩვენს ცხოვრებაში სიმართლე ყოველთვის ზეიმობს, ოღონდ საამისოდ ზოგჯერ სიცოცხლე არ გვყოფნის.“ რომელმა სიმართლემ იზეიმა შენს ცხოვრებაში, რაც უზომოდ გახარებს და, კიდევ რომელი სიმართლის ზეიმს გინდა მოუხსნო?


— ამჟამად რა საფასურს იხდის ლატვია „სიმღერისთვის“?
— იმას, რომ ნორმალური პარლამენტი ვერ აგვირჩევია. არც ერთ პარტიას არ შეუძლია იმდენი ხმის მოგროვება, რომ მთავრობა ჩამოაყალიბოს. ამიტომაც ვართ სულ მუდამ კოალიციურ მთავრობათა ტყვეობაში.
— სამაგიეროდ, ლატვიაში დღეს შეუძლებელია გამოჩნდეს მეორე კარლის ულმანისი და შესძახოს: „გეყოფათ“!
— სხვათა შორის, ბევრი ამაზე ოცნებობს კიდევ. მე კი მსგავსი რამის გაფიქრებაც მაშინებს. ჩვენ გვაქვს კონსტიტუციური, დემოკრატიული წყობილება, მაგრამ არ გვყავს დემოკრატიული საზოგადოება. დემოკრატია უნდა ვისწავლოთ და ვასწავლოთ სხვებსაც, მასწავლებლები კი არ არიან. მთელი პრესა, ტელევიზია და სხვა მასმედია ნაცვლად იმისა, რომ ხალხი განანათლონ, გართულია ცალ კარში პოლიტიკური აგიტაციით.
— აკი ულმანისის ეს ყველაფერი გამოუვიდა...

— რომ იცოდე, ვერც დარჩებოდა. აბა, ერთი ვიკითხოთ: ვის უნდა გადაეხადა ნედლეულის ან სათადარიგო ნაწილების საფასური? ადრე ყოველივე ამით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან გვამარაგებდნენ. შესაბამისად, ჩვენი პროდუქციაც მთელ კავშირში ვრცელდებოდა. მაგალითად, ჩვენი გამოშვებული ელექტრონიკის 80-90 პროცენტი თავდაცვას ხმარდებოდა. იმ სახელმწიფოში „სპიდოლა“ და სხვა სახის რადიოტექნიკაც იყო საჭირო, მაგრამ ისინი განა გაუძლებდნენ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციას? ამიტომაც საბჭოთა კეთილდღეობის გაქრობა კანონზომიერია. ავიღოთ თუნდაც დიდი სასოფლო-სამეურნეო ფერმები ან რძისა და ხორცის კომბინატები, რომლებიც მხოლოდ მოსკოვსა და ლენინგრადს ამარაგებდნენ. ის გიგანტები ჩვენთვის დამლუპველი იყო. ამჟამად ჩვენ გვჭირდება ცინცხალი გონება და ახალი იდეები, რათა საჭირო და ფართო მოხმარების პროდუქცია გამოვუშვათ. ყველაფრის თავიდან შექმნა საჭირო!
— დაუბრუნდეთ ისევ პოლიტიკას. აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი ხელ-

— მემოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბების პროცესშია, კერძო საკუთრება და ადამიანის უფლებები დაცულია კანონმდებლობით, თუმცა მასი დარღვევის გარკვეული საფრთხეები არსებობს. სიტყვის თავისუფლება კი თავსაყრელად გვაქვს, მაგრამ გვაკლია ჟურნალისტური ეთიკა. ანტიპატიისა ჩვენში ადამიანისთვის შეუფერებელი გზებით ამჟღავნებენ. ჩვენი პრესა ობიექტურობით არ გამოირჩევა. მისგან რომ სწორი ინფორმაცია მიიღო, ძველებურად სტრიქონებს შორის უნდა იკითხო...
— როგორ აისახა შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრებაზე პოსტსაბჭოური ცვლილებები? როგორ ცხოვრობს დღეს ლატვიელი მწერალი, მხატვარი, მეცნიერი... ბომონდი, ერთი სიტყვით?
— სასაცილო რამეს მოგიყვები. ვთქვათ და, პრეზიდენტთან მიმინვიეს სტუმრად. ვინევე სმოკინგზე ქვეყნის უმაღლესი ჯილდოს — სამი ვარსკვლავის ორდენს (მე არ მრცხვენია, რომ ის მივიღე, ბევრი სხვა ვინმესგან განსხვავებით!) და, რაკი ტაქსის ფული არა მაქვს, ვჯდები სალასპილის-რიგის სარეისო ავტობუსში. ამ დროს სმოკინგორდენიან მასხარას რომ არ დავემსგავსო, მხრებზე ლაბადას მოვისხამ ხოლმე. როგორ ფიქრობ, ეს როგორ ახასიათებს ჩემს მდგომარეობას? ამავ დროს, მე ვიცნობ მწერლებს, რომლებიც უბრალოდ შიმშილობენ...

— ჩემი მხრიდან უმაღურობა იქნებოდა მეთქვა, რომ სამართლიანობას ვერ მოვესწარი... მე საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკს თავი დავალნიე და დამოუკიდებელი ლატვია ვიხილე. ეს ის სასწაულია, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე სიხარულად გამყვება.

ესაუბრა რაულ ჩილაჩავა



ზაალ ბოტაქველი

მართლაც რომ გამორჩეული ცრემლი იყო მისი სამშობლოსი, ერთ-ერთი უკანასკნელი ატლანტიდელი, უკანასკნელი ამოსუნთქვამდე რომ იბრძოდა იმ სინამდვილის, იმ მშვენიერებათა გადასარჩენად, რომლებმაც აქამომდე მოიყვანა ქრისტესავით ჯვარცმული ქვეყანა.

გურამ დოჩანაშვილი – მწერალი და ერისკაცი, ჭეშმარიტი მეცხოველე ქართველთა მინისა. მისი იარაღი კალამი იყო, ის მოთხრობები თუ რომანები, რომლებსაც იგი საქართველოს მომავალზე ფიქრში ქმნიდა. ბიბლიური სიბრძნე ამხნევებდა და ძალასა და ენერჯიას მატებდა:

„ხოლო არარაი არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს.“

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბიბლია ბატონი გურამისთვის სამაგიდო წიგნი იყო და სწორედ იქიდან იღებდა ღვთიურ სიბრძნეს, არნახულ ძალასა და სიმტკიცეს ბნელეთის მოციქულებთან საბრძოლველად.


სამწუხაროდ, ისინი ბევრნი იყვნენ, ძლიერნი და დაუნდობელნი... ალბათ, ამიტომაც იყო, რომ გურამ დოჩანაშვილმა ნაცად ხერხს – ალგორიას მიმართა და სწორედ მისი მეშვეობით დაიწყო ბრძოლა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ...

მისი საუკეთესო ქმნილებანი, ისეთები, როგორებიცაა „სამოსელი პირველი“, „ვატერ(პო)ლოო ანუ ალდგენიტი სამუშაოები“, „კეფერაძეები“, „ლოდი ნასაყდრალი“, „სორომი ქართული ცეკვა“, „ოჰან სებასტიან ბანი“, „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა“, „საქმე“, „მხოლოდ ერთი კაცი“, „მინა და ვანო და ნიფელი, ხე“, „ორნი აქა, იქა“, სხვანი და სხვანი, სწორედ ალგორიული საბურველი გახვეულნი, არნახულ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე.

აბა, რომელ ცენზორს მოუბრუნდებოდა ენა აუგის სათქმელად, როცა მწერალი ყველაზე დიდ სათქმელს ჰარალეთელ ლოთ პაპიკოს ათქმევინებს მოთხრობაში „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა“ – კაცია საჭიროო. იმავე მოთხრობაშივე გამოჩნდება სწორედ ის კაცი, ტანმოჩილი, გამხდარი ბუჭუტა, რომელიც რკინისებური ლოგიკით აუხელს თვალს ჰარალეთის მკვიდრთ. არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ იგი დაამარცხებს უმონყალო ჩხუბში არაადამიანური ძალის მქონე ტერეზას. ეს ეპიზოდი ჩვენში დავითისა და გოლიათის შერკინების ასოციაციას იწვევს და იმაშიც გვარწმუნებს, გამარჯვება ნებისმიერ პაექრობაში შეიძლება, თუკი გონივრულად იმოქმედებ.

გურამ დოჩანაშვილს კი აღარ შეეძლო იმის ყურება, თუ როგორ ჰკიდებდნენ ქვეყნის სათავეებში გამძვარი მედროეები ერთიმეორეს ჭრელ ორდენებს, როგორ ანიჭებდნენ ფერად ღირსებებს. არც იმ აბაღებდა დირექტივების ატანა შეეძლო, რომლებითაც კრემლის მიხრწნილი, გადაღებული ბელადები მოძღვრავდნენ საბჭოთა ბოლშევიკური აპარატის მუშაკებს, გაუგებარ ჭანჭიკებად რომ ქცეულიყვნენ თიხისფეხება კოლოსისა. აი, ერთი ნიმუში იმ „მარგალიტებისა“: „ერთი მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და, ამასთანავე, თანამედროვე ეტაპზე

ყოფა-ცხოვრებითი მოვლენების სრულყოფა და ადამიანის ცხოვრებისეული მოქმედება წარმოების გარეთ, მისი საქციელი ყოველდღიურ საქმიანობაში თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება მის ყოფა-ცხოვრებაში და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღება უნდა მიექცეს მის თავისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება ჯერ ერთი იმით, რომ წარმოადგენს ადამიანის ფორმი-



სამოსელს გამორჩეული სრული


რების ერთ-ერთ ფაქტორს, ხდის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში.“ ეს ნაწყვეტი მოთხრობიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ თვალნათლივ გვიჩვენებს საბჭოთა იმპერიის ხრწნის თითქმის ბოლო სტადიას და, რა გასაკვირია, რომ იმპერიამ არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ „ჩამოლაბორანტება“ განიცადა.

გურამ დოჩანაშვილი ისე დიდებულად გაერკვა ალგორიული ნაწარმოებების არსში, რომ ამ ჟანრის ჭეშმარიტ დიდოსტატად იქცა. „ვატერ(პო)ლოო...“ ჰქვია მის ერთ-ერთ ბრწყინვალე მოთხრობას, რომელშიც გამოწვლილვითაა დანახული საბჭოთა იმპერიის არსი, ის ბარბაროსული ხერხები და მეთოდები, რომლებითაც იმპერიის მესვეურები ცდილობდნენ რეჟიმის ერთგულ ქოფაკებად ექციათ სრულიად ახალგაზრდა ადამიანები, ისეთები, როგორც ამ მოთხრობის გმირი ბესამე კაროა. კითხულობ მოთხრობას და გული გიკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ კლავენ ადამიანში სათნოებას, სიკეთეს, როგორ აქცევენ ღვთის შვილს მკვლელ რობოტად.

თუ რა სამინელი წნეხის ქვეშ ცხოვრობდა ქართველობა, გურამ დოჩანაშვილი ლამის კალმის ერთი მოსმით გვაჩვენებს. აღსარებაზე მისულ ახალგაზრდას, რომელიც „მეტისმეტ“ გულახდილობას იჩენს, მღვდელი წამით შეაჩერებს და ისე, სასხვათაშორისოდ, ფანჯრის გაღებას სთხოვს. მერმე, ფანჯარა რომ გაიღება, ისევ სასხვათაშორისოდ, სთხოვს, თუ არ შენუხდები, ეზოში გადაიხედე, ვინმე ხომ არ დგასო. და როცა უარყოფით პასუხს მიიღებს, დამშვიდებული სთხოვს თხრობა განაგრძეო. ესეც დიდი მწერლის თვისებაა, მთავარი სათქმელი ისე გითხრას, ვითომც არაფერიო. აქი ჯუზეპე ვერდიც კი, უდიდესი თუ უდიადესი არა,

თავის სათქმელს ეგვიპურ ეტრატებში ახვევდა.

გურამმა იცოდა ახალდღემისეული სიბრძნის ფასი: „ნუ მისცემთ სინამდევსა ძალთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითი მათით და მოიქცნენ და განხეთქენ თქუენ“, ბრწყინვალედ უწყოდა ისიც, რომ მკურნალობისას უმთავრესია ავადმყოფობის არსის დადგენა. მისი პიესა „ხორომი ქართული ცეკვა“ ამის ბრწყინვალე დადასტურებაა. ამ პიესით კიდევ ერთხელ გახდა საცნაური ჯერ ერთი, როგორ უყვარდა მწერალს მისი მშობელი ერი და მეორეც, როგორ ცდილობდა ზუსტი დიაგნოზის დასმას იმ ავადმყოფობისა, ქართველობას რომ შეჰყროდა.



კარცერ-ლუქსებზე ოცნებობდა, რადგანაც მტკიცედ სწამდა, რომ კითხვას პიროვნების თავისუფლებასთან მიყვარათ, ამაღლებულ და ყოვლისშემძლე თავისუფლებასთან, იცოდა, ცუდ სიმთვრალეზე უარესი რომ ცუდი სიფხიზლეა და სწორედ ამნაირი სიფხიზლისგან გამოღვიძებისაკენ მოგვიწოდებდა.

თავისუფლებისაკენ სწრაფვა ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში გაუჩნდა და მისი პირველი ნაწარმოებიც, მოთხრობა „მთის გადაღმა“ სწორედ ამ მისწრაფებით იყო დამუხტული. მოთხრობის გმირი, სრულიად ახალგაზრდა ზურა ქორის ბედს შენატრის, რადგანაც „ქორს ყველგან ნაიყვანდა ფრთები, სადაც მოისურვებდა. ამ ფრთებით შეიძლებოდა მიფრენა იქ, სადაც მართლაც ბოლავდნენ ვულკანები, ჰქროდა სამუმი, ტივტივებდნენ აისბერგები და იქაც, სადაც იდგა უზარმაზარი ხე – სეკვოია“. ადვილი მისახვედრია, თუ რა იგულისხმება ამ სეკვოიაში. ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც ურჩხულისაგან განმათავისუფლების, წმინდა გიორგის მაღალი თეთრი რაშით შემობრძანდებოდა საქართველოში ის, რასაც, ორი საუკუნის განმავლობაში გულში ელოლიავებოდა ჩვენი ბედკრული ერი.

ღირსეულ, ზნეობრივად და სულიერად ამაღლებულ ქართველებს აღმერთებდა, ისეთებს, როგორც სახალხო მკურნალი დავით კვიციანი იყო, როგორც რევაზ თაბუკაშვილი და დავით ჯავახიშვილი იყვნენ, ქართველთა დასაფასებელი შვილები.

ბევრი რომ შეიძლება ეპატიოს მწერალს, – წერდა გურამი. – აი ის, რაც არ ეპატიება, „სიტყვით მძვავობაა, რადგანაც „ეგრეცა ენაი – მცირე ასოი არს და დიდად მაღლოსი. აჰა, ესერა მცირემან ცეცხლმან რავდენი ნივთი აღაგ-

ზნის!“ სჯეროდა, რომ ეს ცხოვრება, წარმავალი, რომელიც უსასრულოობასთან შედარებით წამის მემილიარდებიც კი არაა, გამოსაცდელად გვეძლევა ადამიანებს და, მით უმეტეს, მწერლებს. სულ ფიქრობდა, ისეთი რა უბედურება შეეყარათ ადამიანებს, ცოდვილ თავებზე დიადი წარღვნა რომ დააყვადო. რა ბოროტება შეეყარათ ასეთი და პასუხსაც იქვე გასცემდა: ამ ბოროტებას შეგუება ჰქვია სახელადო... უღირსთა მიმართ ხელისგულების გადაყვლეფამდე აპლოდისმენტები და ვაშას ძახილიც შეგუებააო. ქვეყნიერებას თუ რამე დაატყვევს, მლიქვნელობა, პატივმოყვარეობა და შიში დაატყვევსო...

ქართული სიტყვის მეაბჯრე და საჭურველთმცირთველი იყო. სწამდა, რომ სიტყვა იშვიათი უნდა

იყოს, მაგრამ უღრუბლო დღესავით ნათელი და ფოლადივით შეუპოვარი; იმაზე ოცნებობდა, რომ განგება აპოკალიფსად ჯერაც უცნობ გამოთქმებს, უცხო აზრებს, აქამდე სხვათაგან ვერმინვდენილს, ჯერ ვერნათქვამსა და არსმენილ ახალ სიტყვებს, მანამდე რომ არავის უხმარია, განსხვავებულთ იმათგან. წინაპრები რომ წარმოთქვამდნენ. ალბათ ამიტომ იყო, რომ თავიანთ სცემდა დიდ სულხან-საბა ორბელიანს და მის უბადლო „სიტყვის კონას“, რომლის ფასი ქართველებმა დღემდე არ ვიცით. სულხან-საბას გრძელეული ხელის მტევანი თავად მაცხოვარს ეჭირა გრძელი თითებით და ის წარმართავდა მის ფასდაუდებელ აზროვნებასო. ფუტკრის კბენას ჰგავს ამ დიდებულ ლექსიკოგრაფის გასახარული, წამებით მიგნებული ჭეშმარიტი სიტყვაო.

სიყვარულის დიადი გრძობაც თავისებურად ესმოდა. „თავფარავნელი ჭაბუკი“ და „მხოლოდ ერთი კაცი“ ჩინებული დასტურია იმისა, თუ რა ზემთავონებულ გრძობად მიაჩნდა სიყვარული, „პერპეტუუმ მობილე“ ყველასი და ყველაფრისა. სჯეროდა, რომ მზის შვილი მხოლოდ ისაა, ვისაც ჭეშმარიტი სიყვარული შეუძლია, მწველი და დამბუგველი სიყვარული, რომ მარადიული სიყვარული დაფარული უნდა იყოს, როგორც ზღვის ფსკერზე ნიჟარაში ჩაკირული მარგალიტი. რა დიდებული ჰიპნო უძღვნა ანა მანიანის, რომის დედას, ფაქტობრივად, სიყვარული აუხსნა იტალიელთა სალოცავ ბანოვანს; რა საოცრად დაგვიხატა შარაგზის ყაჩაღის – სკილონის ვნებანი. თანაც ეს მოახერხა ისე, რომ არსად გადაცდენია იმ ზღვარს, სადაც მწერლობა მთავრდება და ერთი ეშმაკმა უწყის, რა იწყება. დიდოსტატურად ემარჯვებოდა, გადმოეცა სიყვარულის ახსნის სცენა ანდა ასევე აღენერა შეყვარებულთა განმარტოება:

„მამაცაცი და ჭაბუკი იყო სკილონი მამინ, ნაპოვნი ტირო (მისი სატრფო – ზ.ბ.) ქალი და გოგო, და ერთმანეთი მუდამ უნდოდათ. მოუწველავი რჩებოდა არვე“. აი, ასე, ორიოდ წინადადებაში ჩაეცია ის, რასაც დღევანდელი ტელემწერლები ათ გვერდს მოანდომებდნენ.

დიდ მწერლებს ისიც გამოარჩევს სხვათაგან, ისინი არ გატყუებენ, არ ცდილობენ, ზიზილ-პიპილოებით აგვივიონ თვალი. ვერც ერთ ნაუცბათევე დეტალს ვერ აღმოაჩენ ისეთი დიდი ფორმატის რომანშიც კი, როგორიცაა „სამოსელი პირველი“. აქ ყველაფერი დინჯად, აუჩქარებლად, ნება-ნება ვითარდება. იწყება დომენიკოს – ნანარმოების მთავარი გმირის მოგზაურობით საკუთარი თავისკენ, საკუთარი თავის აღმოსაჩენად, იწყება გრძელი, ხიფათიანი, ბენვის ხიდის გზა ჯოჯოხეთისაკენ და მწერლის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი მკითხველს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს და ბოლოს დომენიკოსთან ერთად განწმენდილი გამოჰყავს იმ საშინელებებიდან. პოეტის თვალთ თითქმის მთელ რომანს გასდევს უმშვენიერეს შლეიფად. აი, მაგალითიც:

„ბურუსი იდგა. ასეთი რამ ჯერ არ ენახათ, ცივად აორთქლებულ რქში ჩაძირულიყო ლამაზ-ქალაქი“.

და საერთოდაც, გურამ დოჩანაშვილმა იცოდა, რომ მწერლობაში არსებობს „დიადი ვერასოდეს!“ ყველა დიდი მწერალი ისწრაფვის მისკენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ვერაგი და, ამავე დროს, უნეტარესი „დიადი ვერასოდეს“ მინც მოუხელთებელი რჩება: იცოდა, რომ მაინც დიდი ბედნიერებაა ასეთი მწვერვალის არსებობა და ასეთ დროს ალბინისტები ახსენებოდა, ჯოუტი და მამაცი ხალხი, რომელთა ცხოვრების თითქმის ერთადერთ გამართლებას ღრუბელთ ზემოდან ჭვრეტა, საკუთარი თავის დიდებული გამოცდა, გამარჯვება საკუთარ თანდაყოლილ შიშზე წარმოადგენდა. იცოდა ისიც, რომ, თუ ფიზიკოსები ვერასოდეს შექმნიან „პერპეტუუმ მობილეს“, ლიტერატურამ უკვე მოახერხა და შექმნა „დღოე კიბოტი“, რომ ლიტერატურას შესაძლებლობა მეტი აქვს, ვიდრე ათასწარი ლაბორატორიასა და დანადგარს, რომ სწორედ „დიადი ვერასოდეს“ არის ხელოვნების მარადიული მუდმივობის მკვეცი – თვალწინდელი უხილავი ქანდაკი, თვით მიქელანჯელოს დავითზე უსასრულობამდე მაღალი.

დიადი ხელოვნების მეტრეფე იყო. ამიტომაც ოცნებობდა ფლორენციაზე – მიქელანჯელოსა და ლეონარდო და ვინჩის მშობლიურ ქალაქზე, კიდევ ურბინოლ რაფაელზე, მათსავით უყვარდა დანტე და ბედნიერი იყო იმის გაგების შემდეგ, რომ დანტეს უკვდავ პოემას „ღვთაებრივი კომედია“ თავად დანტემ კი არ უწოდა, არამედ მაღლიერმა მკითხველმა. ხელოვნების ამ ტიტანებს იმიტომაც აღმერთებდა, რომ ლეონარდო და ვინჩის დამთავრებულად, ანუ სრულყოფილად არ მიაჩნდა თავისი არც ერთი ნახატი. ოთხმოდაცხრა წლის მიქელანჯელოს კი სიკვდილის წინ დაუჩივლია, რა დროს კვდები, როცა ახალა მიხვდი ხელოვნების ანაბანასო...

გურამ დოჩანაშვილის დევიზი იყო, ადამიანი ადამიანისთვის დღეა, სინათლეა, მარადიული ნათელია. ეს დევიზი ჯაჭვით შეკრული სიტყვების კაცის დევიზია, რომელსაც სამშობლო სწამდა, უყვარდა და მისთვის იტანჯებოდა. და, რაც მთავარია, სხვანაირად არ შეეძლო.

თავაზ ნატროვილი

საკავშირისკონსტრუქციის

ბასილი ეზოსმოდგარი თავის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ ამბობდა, თუ მომავალი თაობანი თამარის მეფობის სიდიადეს არ დაიჯერებენ, ასეთმა ურწმუნობებმა, დაე, გაიხსენონ თამარის დროს ქართველთა მიერ აღებული ციხენი და ქალაქნი, შემომტკიცებული მხარეები და უშიშროების მოსახვეჭად თითქმის ორჯერ გავრცობილი საზღვრები ქვეყნისა, დაე, გაიხსენონ „ერაყამდის მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარალამდის“ და მაშინ უსათუოდ დარწმუნდებიან, რომ მატრიანეთა ნაამბობი სრულჭეშმარიტებას შეიცავსო.



ავტორის მსჯელობას ეპიგრაფივით უძღვის ბრძნული აფორიზმი: „გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან“. ამ სიტყვებით უპასუხებს მემატრიანე მომავლის სკეპტიკოსებს და გულისტკივილით წარმოთქვამს, თამარის დიდებულ საქმეთა საითათაოდ ჩამოთვლა ისევე ძნელი არის, როგორც ადამიანის თავზე ყოველი თმის ღერის აღრიცხვაო.

თსა და მგელი ერთად...

...ბასიანის ომში რუმის სულტნის რუქნადინის სასტიკმა დამარცხებამ ქართული მხედრობის სახელს უძღვევლობის შარავანდედი მოჰფინა. კანდიერებით აღსავსე და მრისხანედ აზვავებული მტერი უკუგდებულ იქნა. „მთასავით მაღალ“ საომარ ცხენზე ამხედრებულმა რუქნადინმა თავისი გულისწადილი ვერ აისრულა და გაქცევით უშველა თავს. „ვარსკვლავებივით მრავალრიცხოვანი“ მისი ლაშქარი გაიფანტა და ფეხდაფეხ დაედევნა კუდამოძებულ მბრძანებელს.

გამოხდა მცირეოდენი ხანი და დასავლეთის ჯვაროსნებმა ბოლო მოუღეს ბიზანტიის იმპერიას. მისი ადგილის დაკავება აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ საქართველოს ძლიერ სახელმწიფოს შეეძლო. ისლამს სხვა მოპირდაპირე ჯერჯერობით არავინ ჰყავდა აღმოსავლეთში.

მშვიდობა სუფევდა ყველგან და მტერი თითქოსდა არსაიდან ემუქრებოდა ამაყად თავანულსა და მხრებგაშლილ ქვეყანას. მართალია, მგელი და ცხვარი ერთად როდი ძოვდა მაშინდელ საქართველოში, სოციალური სამართლიანობის დამყარებაზე ოცნებაც კი ხადრევი იყო, მაგრამ მშვიდობიანი ცხოვრება თავისთავად დიდ შვებასა და შეღავათს წარმოადგენდა მშრომელი ხალხისათვის.

სულტნის ილუზიები

სისხლისმღვრელ ომებში მოხვეჭილი მშვიდობის დარღვევას, როგორც ჩანს, თამარის მეუღლის დავით სოსლანის სიკვდილმა მისცა ბიძგი. საქართველოს მეზობლებმა, ეტყობა, იფიქრეს, ჩვენი მძლავრობის დრო დადგაო და არდებლის სულტანი მოულოდნელად თავს დაესხა ანისს, მოძმე სომეხი ხალხის სახელგანთქმულ ქალაქს, რომელიც საქართველოს სამეფოს საზღვრებში შემოდიოდა. მომხდურნი ელვი-

სებური სისწრაფით დაეუფლნენ ანისს. აღდგომის დღესასწაული დგებოდა და ქალაქის მცხოვრებთ ეკლესიებში მოეყარათ თავი. თორმეტი ათასი კაცი იმსხვერპლა ბარბაროსულმა ხოცვა-ჟლეტამ.

თამარის ბრძანებით არდებილისაკენ დაუყოვნებლივ დაიძრა

ლომი ბრჭალთაგან

ვარიაციები ნიბნიდან „აპრილით მაღრიზამდე“

ქართული მხედრობა. აიღეს ქალაქი არდებილი და შური იძიეს ანისში ჩადენილი მხეცობისათვის.

ხორასნის ლაშქრობა

არდებილიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს მხედართმთავარი წარუდგინა თამარ მეფეს და მოახსენეს იმდროინდელი ირანის დაქსაქსულობა და უძღურება; მოუწოდეს, ახალი ლაშქრობა მოეწყო, რათა საიმედოდ განემტკიცებინათ ქვეყნის უშიშროება: ეჩვენებინათ მეზობელი მაჰმადიანური სამფლობელოებისათვის თავისი ძალა და ღონე, არც ერთს რომ აღარ გასჩენოდა ცდუნება საქართველოზე ყაჩაღური თავდასხმისა.

თამარმა გააცნო მხედართმთავართა გაბედული გეგმა საქართველოს მთავრობას და ნება-დასტური მიიღო. ყველანი შეუდგნენ მზადებას შორეული ლაშქრობისათვის. შემოდგომაზე საუცხოოდ გამოწყობილი და შეიარაღებული ჯარი შეიკრიბა თბილისში. ღიმილით უმზერდა მეფე თავისი მხედრობის აღლუმს, გულს უხარებდა მეომართა სიჩაუქე და საბრძოლო მზადყოფნა. თამარმა სამეფოს დროშა ჩააბარა ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელს და ქართული მხედრობა გაუდგა გზას შორეული ხორასნისაკენ.

ხორასნის ლაშქრობის აღწერილობას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ქართველი მემატრიანე გადმოგვცემს ქართული მხედრობის მთელ მარშრუტს, ზუსტად ასახელებს გეოგრაფიულ პუნქტებს, დანვრლებით მოგვითხრობს საომარ ეპიზოდებს. მისი სიტყვით, ქართულ მხედრობას აუღია შემდეგი ქალაქები: მარანდი, თავრიზი, მიანა, ზანგანი, აბჰარი, ყაზვინი, გურგანი. ქართველებმა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მიადნეს! მოხვეჭილ იქნა უზარმაზარი ალაფი: ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი.

ლაშქრობის დასახული გეგმა წარმატებით განხორციელდა. ყველამ, მტერმაც და მოყვარემაც, კიდევ ერთხელ შეიტყო საქართველოს სამხედრო ძალების ძლიერება და სიმტკიცე. ეს იყო აგრესორთა ხმაამალაღი გაფრთხილება.

ქართველი მემატრიანენი თითქმის ერთნაირი გამოთქმებით გამოხატავენ თავიანთ აღტაცებას და განცვიფრებას. ერთი ამბობს, ესოდენ შორეული ქვეყნები ქართველთაგან ჯერ არავის დაუღაშქრავსო. მეორე კვერს უკრავს, იმისიორეზე გაილაშქრეს, სადაც ქართველთა სახელი არც კი სმენოდათო. მესამე აღნიშნავს, არასოდეს გაგონილა საქართველოში ძველი დროიდან აქამდის, რომ ქართველებს ერავი და ხორასანი დაერბოთო...

გულუხვი ეპითეტებით ამკობენ ხსენებულ ლაშქრობას: ხან „დიდი ლაშქრობა“ ეწოდება, ხანაც ძღუევამოსილი, ანდა ბრწყინვალე, გაუგონარი, განუმეორებელი, ფანტასტიკური. და ყოველთვის ადვილი მისახვერია, რომ იგულისხმება სწორედ ხორასნის ლაშქრობა, რომლის მსგავსი საქართველოს ისტორიას

არ ახსოვს. მართლაც, ასე შორს არასოდეს წასულა საქართველოს ჯარი, ამდენი ცნობილი ქალაქი ერთად არასოდეს აუღია და ამხელა ალაფი არასოდეს მოუხვეჭია.

ერთი უცხოელი მეცნიერი იმასაც კი წერს, ქართულმა მხედრობამ თითქმის გიჟური ნახტომი გააკეთა

თვით ხორასნის საზღვრებამდე! შიშობდა ქართველი მემატრიანე, მომავალი თაობანი არ დაიჯერებენ თამარის ზღაპრულ საქმეებს და ჩვენი ნაამბობის სიმართლეში დაეჭვდებიანო.

კაცმა რომ თქვას, უსაფუძვლო როდი იყო მემატრიანის შიში.

აბა როგორ დაეჯერებინათ ოთხი საუკუნის შემდეგ თავრიზსა და ყაზვინში ტყვედ ჩაყვანილ ქართველებს ხსენებულ ქალაქთა აღება თამარის მხედრობის მიერ. ოთხი საუკუნის შემდეგ თავრიზ-ყაზვინის ხილვა დატყვევებულ ქართველებს-ლა შეეძლოთ. ზოგი მათგანი თავისი ნიჭისა და სიმამაცის წყალობით ერთ ან მეორე ქალაქის გამგებელიც კი ხდებოდა, ანდა იქაური ჯარის სარდალი, მაგრამ თათრული ჰქონდა უკვე სახელი, სარწმუნოებაც, ტანსაცმელიც და ზნე-ჩვეულებაც. ავინყდებოდა დედაენა და როგორღა უნდა ნაკითხა „ქართლის ცხოვრება“, სადაც ნინაპართა საგმირო საქმეები იყო მოთხრობილი...

თუმცა დღესაც კი შეეპარებათ ხოლმე ეჭვი, ხორასნის ლაშქრობა თამარის ისტორიკოსის ფანტაზიის ნაყოფს ხომ არ წარმოადგენსო?

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, დასახელებული თხზულება არც ერთ სხვა საუკეთესო ქართულ ისტორიო მკვლს არ ჩამოუვარდება, დიდი ნდობის ღირსიც არის და ისტორიისათვის ძვირფას წყაროდ უნდა ჩაითვალოს. ამასთან, თამარის ისტორიკოსი მართლისმთქმელი და პირუთუნელი მემატრიანეა, მისი ცნობების ღირსებისა და ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მრავალი მკაფიო მაგალითის მოყვანა შეიძლება.

სხვა ქართული წყაროებიც ლაკონიურად ადასტურებენ „ისტორიანი და აზმანი“ ვრცელად გადმოცემულ ამბავს. ასე მაგალითად, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატრიანე წერს: „დალენენს სპარსეთისა ქალაქნი, და მარანდი ამოსწყვიდეს და ერანის ქვეყანა.“

ესდენად სიმორესა შინა მივიდენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა“. დამონებულ ნაწყვეტში აღნიშნული „სპარსეთისა ქალაქნი“ და „ერანის ქვეყანა“ აშკარად მიგვანიშნებს, რომ იგულისხმება სწორედ ის დიდი ლაშქრობა, რომელსაც აღწერს თამარის პირველი ისტორიკოსი. ამას თვალნათლივ ადასტურებს მარანდის დასახელება. აღებულ ქალაქთაგან მხოლოდ და მხოლოდ მარანდის მითითება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ხსენებული წყაროს თანახმად, ქართული მხედრობა იქაურობას არ ვასცილებია. გამოთქმა „ესდენად სიმორესა შინა მივიდენ“ მეტყველებს, რომ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატრიანე გაცილებით შორეულ მხარეებს გულისხმობს, ვიდრე მარანდი იყო.

უცხოური წყაროები

მიუხედავად ასეთი მოწმობისა, ეჭვი ეჭვად რჩება და კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ხორასნის ძღუევამოსილ ლაშქრობას. უცხოური წყაროს დასტურს მართლაც ოქროს ფასი ექნებოდა. თამარის ისტორიკოსი საკმაოდ დანვრილებით აღწერს ქალაქ მარანდის აღე-

ბას. სწორედ მარანდთან გაიმართა ყველაზე სერიოზული ბრძოლა და ქართველთაგან მარანდის აღებამ თურმე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა თავრიზელებზე, რომ მათ უომრად დამორჩილება არჩიეს. ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქთაგან, როგორც ჩანს, მარანდის აღებას

ჰქონია ყველაზე დიდი გამოძახილი, ვინაიდან უცხოური წყაროებიც, ლაშა-გიორგის დროინდელი მატრიანის მსგავსად, ქართველთა მიერ მარანდის აღებას აღნიშნავენ.

სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განცხადების სიტყვით, ზაქარია და ივანე მხარგრძელნი გაუძღვენენ მრავალრიცხოვან ჯარს მარანდისაკენ, აიღეს ეს ქალაქი და ააოხრეს მისი მიდამოები. დიდძალმა ხალხმა თავი შეაფარა მეჩეთს. ზაქარიას ბრძანებით, მაჰმადიანთა სამლოცველოს ცეცხლი წაუკიდეს. ავტორი გვამცნობს, რომ ამირსპასალარს ასეთი სისასტიკე შურისძიების გრძობამ უკარნახა.


კირაკოს განცხადების თხრობას თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა არანაკლებ ცნობილი სომეხი მემატრიანის ვარდანის თხზულებაში მოცემული აღწერილობა ქალაქ არდებილის აღებისა. ჩანს, კირაკოსსაც არდებილის აღება უნდა ჰქონდეს მოთხრობილი და მარანდის სახელს შეცდომით მიუთითებს, ვინაიდან, თამარის პირველი ისტორიკოსის თანახმად, შურისძიებით გამოწვეული რეპრესიები ჩატარდა სწორედ არდებილში. ეტყობა, მარანდის აღებაც ჰქონდა გაგონილი კირაკოს განცხადების და ამიტომ ახსენა მისი სახელი ოღონდ სრულიად სხვა ამბავს დაუკავშირა.

მარანდის აღებას მოიხსენიებენ აღმოსავლური წყაროებიც.

რამიდ ად-დინი თავის თხზულებაში აღნიშნავს, რომ ხვარაზმში ჯალალედინი დაიძრა საქართველოზე შურისძიების მიზნით, რადგანაც მანამდე ქართველებმა მაჰმადიანთა ზოგიერთი ოლქი დაარბიესო (მათ შორის მითითებულია ქალაქი მარანდი). არაბი გეოგრაფი იაკუთი გვაუწყებს, რომ ცნობილი ქალაქი მარანდი დაქვეითების მის დაადგა მას შემდეგ, რაც ქართველებმა ააოხრეს და ტყვედ აიყვანეს მცხოვრებთა დიდძალი რაოდენობა.

ეს არის უაღრესად ძვირფასი საბუთი ქართული მხედრობის ლაშქრობაზე ირანში.

კიდევ უფრო ძვირფასი საბუთი მოიპოვება იბნ ხალიქანის ბიოგრაფიულ ლექსიკონში. მისი თხზულება იმით არის ღირსშესანიშნავი და საინტერესო, რომ ავტორი ამჯობინებს გადმოგვცეს რომელიმე დამასახიფთველი ეპიზოდი მაჰმადიანურ სამყაროში ცნობილი პიროვნების შესახებ, ვიდრე მთელი მისი ცხოვრების თხრობით თავი მოაბეზროს მკითხველს. იბნ ხალიქანის სიტყვატყუნიანობას თავისი მიზნები ჰქონდა. იმ ხანებში უკვე არსებობდა მისი მეგობრისა და მასწავლებლის, გამოჩენილი არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის საყოველთაოდ აღიარებული საისტორიო თხზულება, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით შეიცავდა საჭირო ინფორმაციას და ძალზე პოპულარული იყო მაჰმადიანურ სამყაროში. ბუნებრივია, რომ იბნ ხალიქანს არ სურდა იბნ ალ-ასირის ნაშრომის ერთგვარი განმეორება. მისმა ბიოგრაფიულმა ლექსიკონმა განსხვავებული და მიმზიდველი სახე მიიღო და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა არაბულ მწერლობაში...



ქართული წყაროს გასამართლებად

ქალაქ არბელაში, არცთუ ისე შორს მარანდიდან, ცხოვრობდა ერთი სწავლული, სახელად იზადინი ერქვა და სარწმუნოებით მაჰმადიანი იყო. არავის არაფერს უშვებდა, გამოირჩეოდა გონიერებითა და პატიოსნებით, კეთილსინდისიერად ეკიდებოდა თავის საქმეს. არ შურდა მეზობლის დოვლათი, გულს არ უკლავდა სხვისი ხეირი და ილბიანობა. მაგრამ მტერი მაინც მეტი ჰყავდა, ვიდრე მოყვარე. სხვისა არაფერი შურდა, სხვებს კი ყველაფერი შურდათ მისი. ბრყვეს – მისი სიბრძნე, ბოროტს – მისი სიკეთე. ერთ მშვენიერ დღეს დააბეზლეს ქალაქის გამგებელთან, შენი მოსპობა სწადია, თვითონ სურს, ქალაქის ბატონ-პატრონი გახდესო. დაიწინებოდა ურჩიეს, დროზე შეიკყარ, თორემ ავაზაკებს დაიქირავენსო და ძალაუფლებას ხელიდან გამოგტაცებსო. ავაზაკებთან არასოდეს ჰქონია საქმე იზადინს, წიგნისა და კალმის მეტი სხვა არაფერი იცოდა ამქვეყნად. სიზმარშიც არ მოელანდებოდა ქალაქის გამგებლის სასახლედ და ძალაუფლებად. ერთიჯა და მეორეც შორს იყო მისგან, ათასჯერ უფრო შორს, ვიდრე მოციმციმე ვარსკვლავები. მაგრამ ეჭვიანმა ქალაქის გამგებელმა ყური ათხოვა ცილისწამებას და დაუყოვნებლივ გააძევა არბელადან უიღბლო სწავლული.

იზადინმა მეზობელ ქალაქ მოსულში ჰპოვა თავშესაფარი და ლუქმა-პური. სწავლულთა სამყაროსი მას კარგად იცნობდნენ და პატივსაც სცემდნენ. მისი მეგობარი იყო თვით იაკუთი – გამოჩენილი არაბი გეოგრაფი. მან ბაღდადიდან მისწერა ლტოლვილ იზადინს: „ნუ შეგაშინებს მტერთა ძალადობა, დაე გამოთქვან გულში ჩამარხული სიძულვილი. ის ჟამიც დადგა, როცა გაიპულეს შენი მინა-წყლის მიტოვება, რადგან შეგნიშნეს ღირსება და ნიჭი, თვითონ რომ არ გააჩნიათ. ამგვარადვე სძულთ შავბნელ ყორნებს თეთრი შვეარდნი და შურთ მისი შეფერილობა“.

ირკვევა, რომ სწორედ იმ ნელს, როდესაც იზადინი გააძევეს ქალაქ არბელადან, აუღიათ ქართველებს მარანდი. იბნ ხალიქანი ამბობს: „ქართველებმა გაძარცვეს ქალაქი, ამოჟლიტეს მცხოვრებთა ნაწილი და ნაიყვანეს ტყვეობაში დანარჩენნი“.

გაძევებული სწავლულის ვაჟივილს სახელდახელოდ ლექსი შეუთხზავს, რომელშიც ირონიულად შენიშნავს: მარანდის აღებისას „ურჯულ“ ქართველების სისასტიკე როგორ უნდა გაეკვირდეს, როდესაც მართლმორწმუნე მაჰმადიანებმა თავისი საამაყო სწავლული გააძევეს მშობლიური ქალაქიდან და ოჯახი აუწიოკესო.

აი, ასეთი წვლილი შეიტანა მაჰმადიანი სწავლულის ცხოვრების ერთმა ეპიზოდმა ქართული წყაროს სიმართლის დასადგენად.



ნინო დარბაისელი-სტრონი

სცენა ორი თითით

წუხელ მთელი ღამე არ მიძინებია. არა იმიტომ, რომ ჩემი საწოლის გარეშე ვერ ვიძინებ. საკუთარ საწოლში, აი, რასაც საკუთარი ჰქვია, თითქმის სამი წელი არ ვწოლილვარ და ის საწოლიც, რაღა დაგიმალოთ და, ჩემს ქვეყანაში როცა ვიზრდებოდი, ამერიკულად, ჩემს ოთახში კი არა, ჩვენებურად, - დედ-მამის საძინებლის კუთხეში მედგა და ბოლოს ისე დამიპატარავდა, რომ ვიძინებდი, ნიკე-ლისგოსონებიანი ბოლოდან ტერფები უკვე გარეთ მქონდა გამოყოფილი. მას შემდეგაც, სადაც არ უნდა მოვხვედრილიყავი, მუდამ ვგრძნობდი, რომ შინ ვიყავი, რადგან ვიცოდი, დედაჩემი ან ფეხებში იყო შემოწოლილი და თვლებდა, ან იქვე ედგა ცალკე საწოლი და დავიძახებდი თუ არა „დე!“ - იმწუთას გამავიწყებდა, „აქა ვარ!“

რომ მივედი, უკვე ნაჭამები ვიყავით, ცოტა ხანს ვუყურეთ ტელევიზორს და მერე ცალკე სტუმრის ოთახში შემიყვანეს, შიგ ძვირფასი დარიჩინ-ვაშლიანი სურნელოვანი სანთლის და ოდნავი, სულ ოდნავი სიძველის და შორის სუნი იდგა. ყნოსვა მუდამ გამაფრთხილებელი მაქვს, ჩემი ყოფილი, იქნებ მუდმივი ავადმყოფობის გამო და ალერგიული ცემინება დამეწყა.

ორგვლივ ყველაფერი დედოფლის აპარტამენტივითაა: აბაზანაში - ქათქათა პირსახოცები ოქროსფერი გერბებით, გაუხსნელი ღამის პიჯამოები - სამი ფერისა, ყველა ზომაზე რომ მიდის (ნაცრისფერი ავირჩიე, ვარდისფერი ყვავილებით), ათასნაირი გაუხსნელი შამპუნი და კონდიციონერი.

ხელსაბანთან, გაუხსნელი ჯაგრისებიდან ერთი, ტარმოლუნული გავხსენი. მერე კბილის პასტებს სათითაოდ, თითით გემოებიც გაუხსინე და ვარდისფერი, კენკრისგემოიანი ამოვირჩიე. კბილების ხეხვა დავიწყე თუ არა, ცოტა მეუცნაურა, რომ მორჩილად არ სრიალებდა ზედაპირზე. რაღაც მომენტში ყბები ერთმანეთს რომ დავაჭირე, დავენებე და ველარც პირი გავხსენი, შემეშინდა, მერე დავწყნარდი და მგონი, მთელი საათი მოვანდომე ნაწილ-ნაწილ, თანდათანობით ძლივს მოვიშორე!

მერე წავიკითხე ტუბზე, რომ პროთეზის დასაწებებელი პასტა ყოფილა.

რა სამიში და ცარიელია ყველაფერი, მთელი სამყარო, სასახლეშიც რომ სუფევდე, თუ დაიძახებ „დე!“ და ვერ გაიგონებ პასუხს - „აქა ვარ!“

ეს - ჩემი პირველი თავისუფალი დღე... ანუ დრო, როცა არა მხოლოდ მისგან შორს ვარ, არამედ, პრობლემის/ პრობლემების წინაშეც მარტო აღმოვჩნდი და მივიღე პირველი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგზეც თვითონ უნდა ვაგო პასუხი. თოთხმეტი წლის ვარ და ჩემმა ფსიქოლოგმა საბოლოოდ დაასკვნა, რომ მე სოციალიზაციის პრობლემების წინაშე ვდგავარ და უკვე მეორედ ურჩია დედაჩემს, რომ მეტი თავისუფლება მოეცა.

- შენს ბიოგრაფიას რა ჰქვია!
ეს არის პირველი კითხვა, რასაც ჰასი მერე გვეკითხებიან ჩემი ტოლები და ემა-კეტი რა გამოწვევის იქნებოდა.

- არაფერი, უკვე დავმორდი... - ეს თავდაპირველი ტყუილი საიდან მომავიქრდა უცებ, აზრზე არა ვარ. ვიგრძენი, როგორ წამომასხურა.

- ძალიან კარგი, ჩვენს ჰაისტულში კარგი ბიჭები არიან - გამიცინა და რაღაც მომენტი დავიჭირე მის გამოხედვაში, საამისოდ როგორ უცებ ამწონა.

ემა ჩემზე რამდენიმე თვით დიდია. მე და დედა საცხოვრებლად გადავედით მის ეზოში მდგარ... პატარაო, თვითონ უწოდებენ, თორემ ორსართულიანი სახლია, შიგ - მეორე სართულზე ორი საძინებლით, ერთი აბაზანით, პირველზე - ოფისით, კიდევ აბაზანით და დიდი სამზარეულო-სასადილოთი. თვითონ იმხელა სახლში ცხოვრობენ, კვირაში ერთხელ მტვერსასრუტით შემოვლას და მტვერების გადანმენდას სრული ხუთი საათი სჭირდება.

ემას გრძელი, ჭრელი თმა აქვს, გარედან ქერაა, შიგნიდან - მუქი, სულ შიგნიდან - შავი. ამას ჰაილაითი ჰქვია და ძვირია. თმას ყოველ დღე იწმინდებენ ცხელი უთო-ფენით, თორემ ხვეული აქვს. აქ ყველა ასე იქცევა. მე მეუბნება, - რა კარგი თმა გაქვს, ბუნებრივად მთლად შავი, სწორი და პრიალაო. ღია პერსონაა, ჯერ რაღაცას იტყვის, მერე ფიქრობს და დარდობს. სულაც არ არის ძნელი საურთიერთო, მაგრამ სულ პრობლემები ექმნება.

ამას წინათ ერთ ჩვენს კლასელ მეგობარზე მეუბნება, - რა უცნაური ადამიანია, ამ ერთი თვის წინ ბიოგრაფიას პირადადაც კი არ უთხრა, ტექსტად მისწერა, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდაო. ყველანი როგორ განვიცდიდით, ვართობდით, რომ ადვილად გადაეტანათ, პირადად მე ბასკინ რობინშიც კი წავიყვანე ნაყინზე და გუშინ, უკვე ერთი თვის მერე ამბობს, - მორჩა, ეგ ბიჭი აღარ მაინტერესებსო! გამიხარდა, რა კარგია, ესე იგი უკვე ხელმისაწვდომია და შემოძლია, ჩემი ბიოგრაფიები იყოს-მეთქი, ვუთხარი და გახარების მაგიერ ეწყინა და გამებუტაო.

ისე, მე საიდან უნდა მყოლოდა ბიოგრაფიები აქამდე!

ჩემი თანდაყოლილი ციანოზური გულის მანკის გამო, თავიდანვე ვერც დავრბოდი ამხანაგებთან ერთად, ვერც რამე ოდნავ მიძინებ ვატარებდი. სკოლაში ჩემი ჩანთა დედაჩემს მიჰქონდა. მერე ამერიკელების საქველმოქმედო სამედიცინო პროექტში მოვხვდი, თითქმის თორმეტი წლის ვიყავი, ჯექსონში, „ბრედლის ქაუნთი ჰოსპიტალში“ უფასო ოპერაციისთვის რომ ჩამომიყვანეს, ორი ოპერაცია დამჭირდა, სარქველის პროთეზირება და მერე გულის კუნთის კორექცია, მერე რეაბილიტაცია. ორი წელი დედასთან ერთად ჰოსპიტლიდან კლინიკაში და პირიქით ვმოგზაურობდი. გასართობი რა მქონდა? ლეგოები, ფაზლები და წიგნები, წიგნები, წიგნები... ძირითადად მედაპერსონალს მიჰქონდა საჩუქრად. მათემატიკის და ფიზიკის ამოცანების კრებულები - ბევრი მქონდა და მიყვარდა, იგივე ფაზლები იყო ჩემთვის, და კიდევ უკეთესი, რადგან ფაზლს და ლეგოს - გაშლილი ადგილი და დიდხანს ერთ პოზიციაში ჯდომა სჭირდება, იმ წიგნებს კი რვეულებიანად და ლეპტოპიანად საწოლშიც დაიტევ. ხანდახან ჩემი საწოლი ისე ივსებოდა ამ ყველაფრით, რომ წვეთოვანის დაყენებისას ძირს ცვიოდა და ექთნები ცდილობდნენ, წამოეკრიფათ და ისევე ისე დაეწყით, როგორც მქონდა.

კლასები გავიარე, ტესტები კარგად ჩავაბარე და ჰასიკულში მოვხვდი. ემასთან ერთად ვარ და იქ ბულინგისგან მიცავს, ჩემს ჩაცმულობასა და იერზეც პირველი დღიდანვე ძალიან ზრუნავს, თუმცა თვითონ რაღაც მესაკუთრულ დამოკიდებულებას ვამჩნევ ჩემდამი. ყველაფერი არ მომწონს, რა ტანსაცმელსაც მიუქნის, მაგალითად ეს ახალი სტილის, დაგლეჯილი ჭიპსაშორებული ჯინსები „მომზ სთაილი“ - რომ ჰქვია, მაგრამ რომ გავახარო, ვიცვამ. ისე, იმას ნამდვილად მიჩვენია, აქამდე ჭიპსაშორებულ სტილში რომ იყო და „გახვრეტილ ჭიპზე“ ათასნაირი „ბელი რინგები“ რომ უნდა გკეთებოდა.

ახლა ფრანკლინის უზარმაზარ, ხალხით გადაჭედულ მოლში ვიმყოფებით. დილით შინ ყველამ უცებ ჩვენ-ჩვენი მოსაწონი რძიანი სირიალი მოვიზადათ, უფროსებმა აპარატიდან ყავა ჩამოისხეს, ვისაც როგორი უნდოდა და მოლში წამოვედით საშობაო შოპინგზე.

უფროსებმა გადაწყვიტეს, მოლის კაფეტერიაში ერთად ვჭამოთ ლანჩი და მერე დავბრუნდეთ ჯექსონში მის დებორა და მე.

მის დებორა ემას დედაა. თითქმის ერთი წელია ერთად ცხოვრობთ, მაგრამ აქამდე

მასთან ახლო არ ვყოფილვარ. რაღაცნაირი, ცივი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ისიც კი მიჩვენებოდა, რომ რობოტივით ლაპარაკობდა. იურისტია, უფრო სწორად, ასისტენტი და დედაჩემთან ერთად მუშაობს. ეს მისი სახლია, სადაც ახლა, მისი შემოთავაზების წყალობით, ვცხოვრობთ, კარგად გვეცევა, მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს, ძნელი სათქმელია.

მაღლიერების დღისთვის სიეტლიდან მისი დედა და და ჩამოვიდნენ, ერთიან-თითქმის ორი წლის ბიჭთან ერთად. აეროპორტშივე მანქანა დაიქირავეს, მას მერე კვირამდე დარჩნენ, გუშინ კი ასე დაგვემეს, რომ ნუშვილის აეროპორტში გამგზავრებამდე ჯერ ფრანკლინის ბრძოლის ადგილებს, კარნ ტონის პლანტაციებს და სასაფლაოს, ლოტზის და კარტერის სახლებს დაათვალიერებდნენ.

რატომ ვართ მარტო მე და მის დებორა?! სად არის ემა ან დედაჩემი?!
ო, ეს მთელი ისტორია!

ამ გაზაფხულზე, როცა შეტყობინება მიიღო მის დებორამ, რომ სიეტლში მამამისი გარდაიცვალა და ნასვლა გადაწყვიტა, ემამ გაყოლაზე თავიდანვე მტკიცე უარი თქვა: იქ რა მინდა, ვინ არიან ის ადამიანები ჩემთვის, ვინც არასოდეს მინახავს! არც ჩემი დაბადებულა გახარებდა, თოთხმეტი წლამდე არც დაბადების დღე მოულოცავთ ოდესმე, არც ვუკითხვართ და უცებ ჩავიდეთ? მაგათ ისევე ჩვენი მეზობელი მის რებეკა მიჩვენია, დღესასწაულის მოლოცვა და ჩემთვის - რა-იმე საჩუქრის ბარათი მაინც არ ავიწყდება არასდროსო.

მოკლედ, მის დებორა მარტო წავიდა და რომ დაბრუნდა, იმ საღამოს თავისი აიპადა გახსნა და სურათები დავვათვალიერებინა. თვითონ - დედასთან, დასთან და ხელში - პატარა, გაცივებულ, ახლამოსულკბილებიან დისშვილთან ერთად; ყველანი ერთად - ბელვიუს ბოტანიკური ბაღის მოხუც თანამშრომლებთან, რომელთან ერთადაც მამამისმა მთელი ცხოვრება იმუშავა მთავარ ბოტანიკოს-მებაღედ და დაკრძალვის მომენტი, როცა საფლავის წინ დადგმულ სკამებზე ერთად სხედან ახლო ნათესავები და სიტყვით გამომსვლელებს უსმენენ. თან გვიოხრა, - დამპირდნენ, მაღლიერების დღისთვის ჩამოვალთო.

როგორც თქვა, მამამისმა მთელი ცხოვრება ვერ აპატია, რომ არავისთვის არაფერი უკითხავს, არავინ არაფრად არ ჩაუთვლია. იმ დღემდე სამართლის სკოლის წარმატებული სტუდენტი, ყველას მისაბაძი, რაღაც უაზრო ფართიზე, ალკოჰოლური თრობის დროს, ახლგაცნობილი ახალგაზრდა სამხედროსგან დაფეხმძიმდა, სწავლა მიატოვა და სადღაც, გადაქარგულ ნუშვილში გამოეგზავრა, თანაც სად? - ბავშვის მამა არც ელოდებოდა. გვიან, ორი კვირით ჩამოსულა სამხედრო შვებულებში, ხელი უთხოვია, რაღაც, პატარათელიანი ბეჭედი უჩუქებია, ნასულა და აღარც დაბრუნებულა ცოცხალი, ხოლო მის დებორა ამის მერეც არ დაკავშირებია თავისიანებს, რომ ბოდიში მოეხადა და დახმარება ეთხოვა. დედამის მამის პანაშვიდისას უთქვამს, - ჩვენ კი თქვენი ხსენება აგვიკრძალა, მაგრამ, სინამდვილეში, შინზე დარდს ვერ გაუძლო. ვიდრე საშუალო გახდებოდა ბავშვების ფოტოების თავისუფლად დადება ფეისბუქზე და ამის გამო გვერდს პრივატულად დახურავდი, ერთხელ ლეპტოპი ღია დარჩა და ვნახე, თქვენს სურათებს რომ ათვალიერებდაო.

მის დებორას დას რაც შეეხება, სიბერეში გაჩენილი, თორმეტი წლით პატარა ყოფილა და ეს ყველაფერი იმ ასაკში დაემთხვა, როცა ელემენტარულ სკოლაში სწავლობდა, ანუ ჯერ უფროსების თვალთ უყურებდა ყველაფერს. რომ გაიზარდა, მერე მაინც რატომ არ სცადა საკუთარ დასთან კომუნიკაცია, მაგდენი აღარ ვიცი.

უნდა ითქვას, რომ ემა ცუდად არ ექცეოდა სტუმრებს, აღზრდა არ აძლევდა ნებას. იმათი ჩამოტანილი საჩუქრებიდან კი არაფერი მოერგო არც ზომით, არც სტილით. პირდაპირ პარკში ჩაანყო და მე მომცა, თუმცა ვერც მე შევარჩიე ვერაფერი, ერთი ყაკეტის გარდა და საშობაოდ ნათესავებისთვის გასაზღვანად შევინახე. იმათ დედად არჩევანი არა აქვთ და ყველანაირი საჩუქარი უხარიათ.

წამოსვლისას, ემამ, მე არ გამოგყვებით გასაცილებლად, ჩემი გეგმები მაქვსო, თავაზიანად, შავით, ანუ სამხრეთული ჩახუტებით დაემშვიდობა და დედებმა გადაწყვიტეს, ეს სწორედაც კარგი შანსი იყო ჩემთვის, ფსიქოლოგის რჩევის გათვალისწინებით, დედის გარეშე წავსულიყავი სადმე, სკოლის გარდა და სოციალიზაცია მეცადა. თანაც დედაჩემი სამუშაოზე იყო ნასასვლელი.

ორი მანქანით გამოვემგზავრეთ. იმათი - უამრავი ბარგით იყო სავსე, რადგან პატარა ბავშვით მოგზაურობას არა მხოლოდ მისი ქარსითი - სამანქანო, უსაფრთხო, დასაბეჭდი სკამი, არამედ სხვადასხვანაირი სტროლერები და მოწყობილობებიც სჭირდება.

მე მუხუშუმში პრაქტიკულად, ვერც შევედი, გარეთ პატარა ერიკი ვასეირნებდი და ვართობდი. კი მაინტერესებდა, მაგრამ თავი დავიმშვიდე, რომ უზარმაზარი ბესტსელერი, რობერტ ჰიკის ნოველა „სამხრეთის ქერივი“ კარგად წაკითხული მქონდა და წარმოსახვაში ისე ჩამებეჭდა ყოველი მომენტი, მთელი ბატალიებითა და ინტერიერ-ექსტერიერებით, როცა მომინდებოდა, შემეძლო, მეხსიერების ექრანზე ფილმივით ახლიდან დამეტრიალებინა.

ფრანკლინიდან ნუშვილის საერთაშორისო აეროპორტამდე მანქანით შორი არ არის, თუ ინტერსტიტი თავისუფალია. რეგისტრაციამდე, მინიმუმ, ორი საათით ადრე უნდა იყო იქ, მით უმეტეს, პატარა ბავშვითა და ამდენი ბარგით. დრო კარგად გვექონდა დაგეგმილი. მანქანებში ჩავსხედით, მე - ისევე მის დებორასთან, ისინი - თავის ნაქირავებში და კმაყოფილები დავიძარით!

არა... ეს - ჩვენ დავიძარით, მათი მანქანა კი არ იძვროდა, მოვტრიალდით უკან, რაღაცები სცადა მის დებორამ, მაგრამ უშედეგოდ. დრო თუ მთელი დღე უნელესად მიდიოდა, ახლა უკვე გარბოდა. აქამდე მშვიდ და თავაზიანად სევდიან სახეზე ყველას ნერვიულობა დაეტყო.

რა ვქნათ! უბერი ხომ არ გამოვიძახოთ? - დაიწყო სასწრაფო გამოსავლის ძებნა მის დებორამ. დარეკა. იქიდან უპასუხეს, რომ ახლა დღესასწაულია, სტუმრებითაა გადატვირთული ყველაფერი და რაც შეუძლიათ, ისაა, რომ ორმოცდახუთ წუთში იმოვონ სედანის ტიპის მანქანა და გამოუშვან, თუმცა გარანტირებულად - მხოლოდ თხუთმეტი წუთში ეტყვიან პასუხს. სედანი - პატარა მანქანას ნიშნავს. კარგი, ბარგის ნაწილს აქვთ გადაწყოვით, ქარსითი მაინც გადასაყენებელია, ბარგი - გადასალაგებელი, ამას, მინიმუმზე მინიმუმ, თხუთმეტი წუთი მაინც დასჭირდებოდა, უბერის კომპანიას, თავისი მხრით, ყველაფერი საუკეთესოდაც რომ მოეგვარებინა, ანუ ესეც - ერთი საათი!

ნუშვილ-სიეტლი - კვირაში ორჯერ დაფრინავს და თანაც სტუმრები ბილეთსაც ვერ გადაცვლიდნენ ამ წინასაშობაოდ, მით უმეტეს დაფიქსირებულთარიღიანი ბილეთები ჰქონდათ.

მე აქ დავჩრები და სუვენირების მალაზიაში დაგელოდებით-მეთქი, - თქვენი და სასტიკი უარი მივიღე. ჩაბარებულს, თანაც არასრულწლოვან ბავშვს, მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავტოვებ უცხო ქალაქში უმეტესად ყურადღებულად, ეს გამოორიცხებულიაო, - მის დებორამ.

- შეგიძლიათ, სუვენირების გამყიდველს და კიდევ სხვებსაც სთხოვოთ, რომ ყურადღება მომაქციონ, - მოვძებნე გამოსავალი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, მტკიცე უარს მივიღებდი და ამის ნაცვლად დავრწმუნდი ადრე წაკითხულში, - რომ როცა ადამიანები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, არაპროგნოზირებადები არიან.

უკვე დამარულზე, ჩამორეული ფანჯრიდან, უცებ ჩემი განუყრელი პლედი მესროლა, შავრმი დავიჭირე და წავიდნენ!

უკვე გამყიდველებისთვის ჩაბარებული, სუვენირების მალაზიის თაროებზე გამოფენილ ყველაფერს გულდასმით ვსწავლობდი. თითქმის ერთი საათი ასე ვაგვიყვანე, მერე მომწინდა შიგნით ყოფნა. ქალების საპირფარეო ზუსტად მალაზიის კარის წინაა, კლიენტებით დაკავებული გამყიდველის მზერა დავიჭირე, ვანიშნე, იქ გავალ-მეთქი. მართლაც შევედი, გამოვედი, მაგრამ მალაზიაში აღარ შევბრუნებულვარ. ჩავისუნთქე და იმნადა ვიგრძენი, ნიემბრის საღამოს მზე

რომ გადადის, მთელი დღის მცხუნვარება როგორ უცებ იცვლება სუსხით. პლედის შემოვიხვიე და სასაფლაოსკენ წავედი, რადგან მუზეუმიდან, რომელიც ხელმარცხნივ დარჩა, ხალხი გარეთ გამოდიოდა, შესვლა ფასიანია და ხუთი წუთისთვის ბილეთს ხომ არ ვიყიდდი, სასაფლაო კი ხელმარჯვნივია და უფასოა, რამდენიც გინდა, ათვალე თეთრი სტელები, საბავშვო სარკოვანები და შტატების მიხედვით ჩამსკრივებული, 1500-მდე პატარა, ერთიანი, დანომრილი ან ინიციალებიანი საფლავის ქვა, თითოეული - ასე, ბიუსტერის ზარდახნის ტოლა.

ახლიდან ვნახე კერი მაკგაოკის - სამხრეთის ქვრივის, მისი სამი პატარას და მთელი ოჯახის საფლავები, შევედი შიგა ალყაფის კარში და მარჯვნივ, ქვის სკამზე დავჯექი პლედმოხვეული, დაღლამ და ძილმა თავი წამართვა.

- მეემ, მეემ! - მომესმა ძილ-ბურანში ხმა, - ყველაფერი კარგადაა? აქ სიბნელებში რატომ ზიხართ, ჩემს საფლავთან გიჩვენებიათ.

ოდნავ შევახილე თვალი. ჩემ წინ, არც მაინცა და მაინც ახლოს, კონფედერაციის რესპუბლიკის ბიჭი იდგა, შებინდებულშიც კი მოუჩანდა ცეცხლისფერი, მოგრძოკუთხულებიანი თმა და რაღაც უზარმაზარი, მუქი ლურჯი ან შავი, წყლიანი თვალები. უფრო ფართოდ გაეხილე თვალები. საკმაოდ ბნელოდა, თორემ შევხედავდი და დავრწმუნდებოდი, მოჩვენება იყო თუ არა. წამიკითხავს, მოჩვენებებს ჩრდილი არა აქვთო. გულის მიდამოებში უნიფორმა უსწორმასწორო წრედ, უფრო მუქი უჩანდა, ალბათ შემხმარი სისხლია-მეთქი გავფიქრე და გამაკანკალა. ხმა არ ამომიღია. ის ალაპარაკდა:

- მე ჯონათან ტაკერი მქვია, მეემ! დღეს ოცდაათი დეკემბერია, ჩვენი დღე. ყველანი ვცოცხლდებით წელიწადში ერთხელ ამ დროს, ხუთი საათით და ისევე გარეთ გამოვდივართ. ყველაზე სისხლიანი სამოქალაქო ბრძოლა ამერიკის ისტორიაში ამ მიდამოებიდან ცოტა მოშორებით, 1864-ში, დღის ოთხ საათზე დაიწყო და სულ რაღაც ხუთ საათში, ლამის ცხრისთვის უკვე დასრულდა. ჩემი უსახელო საფლავის გვერდით რომ ასეთივე უსახელოა, იქ ჩემი მეგობარი წევს, დენიელი.

მამაჩემი ოფიცერი იყო და თავიდან არ მიყვავდი ბრძოლაში, ბოლოს ზარბაზნისთვის სატენის მისაწოდებლად დაგვიტოვეს მე და ის, - დენი, დენიელი. მე ეს ფორმა ჩემი უფროსი ძმისგან მერგო, მას კი რომ შესცივდა, ისე მოიქცა, როგორც ბევრი მამინ, - მკვდარ მონიწილმდე იუნიონელს გახადა ლურჯი უნიფორმა და ჩაიცვა, რომ გამთბარყო.

ტყვია ბრმაა, მეემ! დენის ზურგიდან მოხვდა ვიღაც ჩვენიანის ნასროლი და ადგილზევე გაათავა.

მე როგორ მოვკვდი, არც გამიგია. სამოქალაქო ომი ასეთია, მეემ, ვინ ვის კლავს და რატომ, ხშირად მათთვისაც გაუგებარია, ქვეყანა ჰო, მაგრამ ასეთ ომს გამარჯვებული მეომარი არა ჰყავს, მეემ, ვინც ცოცხალი რჩება, ისიც მკვდარია.

ნუთუ ჩვენ, ყველა უნდა მოვკვდარიყავით, რომ ერთიანი ქვეყანა გადარჩენილიყო!

- ჯონათანააან, ჯონათანააან! - მოისმა ქალის შორეული ხმა ზემოდან, იქიდან, სადაც ბაღისარის თეთრი, გრძელი ლობია და დავლანდე თავიდან ფეხებამდე ვიქტორიანულ შავ ტანსაცმელში ჩაცმული, პირბადიანი ქალის გამოსახულება, თეთრ ლობე-ეკრანს რომ მიუყვებოდა, თითქოს მისრიალებდა თუ დაბალზე მიფრინავდა.

- ჯონათანაააან! - ახმინდენე ყოველი მხრიდან შორეული ლანდები.

- ვნუხვარ, უკვე უნდა წავიდე! - თითქოს გამოქვამულიდან გამომავალი ხმით თქვა ჯონათანმა. - ნუ გეშინიათ, გემუდარებით, მეემ, სულ რაღაც წამით დაიცადეთ, თვალი დახუჭეთ და ვიდრე სტვენის ხმა არ მოგესმებათ და არ მიწყდება, არ გაახილოთ!

თვალები მაგრად დავხუჭე და მართლაც არ გამიხელია. ჯერ ოდნავ მოისმა

ხმა, მერე გაძლიერდა და რხევებად გაიშალა ირგვლივ სიბნელებში. მერე უცებ შეწყდა. თვალი რომ გაეხილე და მიმოვიხიე, დაბლა, მარცხნივ, სუვენირების მაღაზიის წინ, ავტოსადგომზე უკვე დებორას განათებული მანქანა დავინახე. სირბილით დავეშვი და შიგ შევხტი. კბილს კბილზე მაცემინებდა. ჯეკსონში დაბრუნება უკვე გვიანი იყო, დებორამ გადაწყვიტა, იქვე, ფრანკლინში, ემას მამის ნათესავებისას, რამზღებთან დავრჩენილიყავით და გზიდანვე მობილურით შეუთანხმდა.

უნდა ვაღიარო, ჩემი წუხანდელი უძილობის მიზეზებში მთავარი - სწორედ ჯონათანი იყო.

ჩემი წითელკუთხულებიანი, დიდთვალება, ჩემი მოლანდებული თუ წარმოსახული ბოიფრენდი!

როგორ ამბობს აინშტაინი? წარმოსახვა - ცოდნაზე მნიშვნელოვანია, რადგან მთელ სამყაროს მოიცავსო!

სამყარო კი, გარდა ხილულისა, უხილავისგან შედგება და უხილავი - ხილულზე მეტია.

შოპინგზე სიარული მიყვარს, მაგრამ ბევრი ფულია საჭირო. წამოსვლისას დედაჩემმა ხუთი ცალი ათდოლარიანი კი მომცა სხვების დასანახად, მაგრამ ჩუმად დააყოლა, - გქონდეს ყოველი შემთხვევისთვის, მაგრამ ეცადე, არ დახარჯო. კაფეტერიაში იხე მივალწიეთ, უფროსებმა ყველაფერი გაიყვანეს ნაყიდებით, მე კი ცენტიც არ დამიხარჯავს. რიგი დიდი იყო. ალბათ ერთი საათიც მოგვიწევდა დგომა. ირჩევ საჭმელს, იხდი ფულს, გაძლევენ ნომერს, გადახარ შემოღობილის გარეთ და შენს ნომერს რომ გამოაცხადებენ, შეხვალ და მაგიდასთან დაგსვამენ.

უცნაურია, როცა ვინმეზე ფიქრობ და გენატრება, ვიღაცებს სულ მას ამსგავსებ და ყოველ ჯერზე გული გიხტის.

თავიდან, მამა რომ მენატრებოდა, ვიდრე გავიგებდი, რომ ჩვენი მეზობელი შეირთო ცოლად და გული სულ გამოიცვებოდა, ყველა კაც-ქვიშში მას ვხედავდი, მით უმეტეს, დოქტორ ტონიში, რომელმაც ოლივია დამარქვა ჯუანიტას ნაცვლად, რადგან თავიდან ესპანურად ყველას ასე ვესალმებოდით დედა-შვილი - „ოლა, ოლა!“ ჰოდა, ოლა ოლივიად და ამრგვალა და დღემდე ყველა ასე მეძახის.

ჰო, დღეს აქ ერთი ხუთი თმახუჭუჭა, გრძელ, წითელთმიანი ბიჭი მაინც მივამგვანე ჯონათანს. ყველა მათგანს ბაცი ან მუქი ლურჯი თვალები კი ჰქონდა, მაგრამ პატარა ან საშუალო ზომისა და არც უბრწყინავდა.

ჩემ წინ კი, კაფეტერიის რიგში, სულაც გამხდარი, მაღალი, გრძელთმიანი გოგოა, ორ მეგობართან ერთად, იმხელა ლურჯი თვალები აქვს, თითქოს რაიმე ანიმაციური ფილმის გმირი იყოს. ვუყურებ და ვუყურებ. რამდენჯერმე მომხვდა, ალბათ, დაუჩინებელი მზერა იგრძნო. უცებ მეგობრებს მიუტრიალდა და ეუბნება:



მხატვარი მარი კუპანსკი

- არ მჯერა, აი ის - გუმინდელი ბავშვი, ჩვენებს რომ ჩააბარეს და სასაფლაოზე ძლივს ვიპოვეთ! შეხედეთ, ნამდვილად ეგას არა, უნდა მივიდე და დაველაპარაკო!

მე ჯერ ისედაც ენა მებმის და ახლა სულ მუცელში ჩამივარდა:

ჰაი! - მეუბნება, - მე წუხანდელი ჯონათან ტაკერი ვარ, სინამდვილეში ჯონათან მქვია, ეს კი - მის მაც გავოკია - მეგობარზე მიმითითა.

მეორე, შავთვალა გოგომ გულლიად გამიღიმა და პრინცესულად დამიქინა ხელი, მერე მეგობარს ყურთან მიუახლოვდა, „ჯონათანაან“ - მისტიკური ხმით ჩასჩურჩულა, გაიცინა და განაგრძო:

- უნივერსიტეტის სტუდენტები ვართ, არტ პერფორმანსს ვსწავლობთ, ჩვენი დედები კარნ ტონის მუზეუმში ერთად მუშაობენ მთელი ცხოვრება და ბავშვობიდან ამ დროს ფრანკლინის ბრძოლის წლისთავისადმი მიძღვნილ, კოსტიუმირებულ საქველმოქმედო პერფორმანსში ვმონაწილეობთ, შუადღეზე ეზოში რომ იმართება.

- მე ბრძოლაში დაღუპული ბიჭის როლში ვარ. - სიტყვა ჩამოართვა ჯონათანმა - ჩემი მონოლოგის ტექსტი ხომ გაგაცანით წუხელ. ძალიან კი შეგვაშინე, რომ გექებდით, ვერ გპოულობდით. ისე, ხომ კარგი იყო?

- დედა-და-ა- სტ- სტ-ვენა?


- აა, ორი თითით? თქვენი დეიდის მანქანა რომ დაეინახე და დაგემშვიდობებო? - აქ დიდებულებიანი პირით, ფართოდ გაიცინა და თავი ზურგჩანთაში ჩაყო, იქიდან ამოლაპარაკა. - გასწავლით, როგორ უნდა, ძნელი არაა, აი, თქვენ - ნეშვილის საშობაო წარმოდგენის ორი ბილეთი. მე მთავარ როლში ვარ, სინდირელა, ესენი - ბოროტი დედინაცვლის შვილები არიან. მოდით და ყვავილები არ დაგავიწყდეთ. რომ მომართმევთ ბოლოს სცენაზე, მაშინ გასწავლით. შეიძლება ერთად სელფი გადავიღოთ?

პასუხს არ დალოდებია, ასეც მოიქცა. სურათი მაჩვენა - მე ორი ბილეთი მიჭირავს, მისი ხელი მაქვს მხრებზე გადმოხვეული. ორივე ვიღიმი... მე, - ჯერ კიდევ დაბნეულად, ის - თვითდარწმუნებულად...

- თქვენი ნომერი მითხარით! ახლავე გამოვუშვებ.

- დამჩრა, მაგრამ შინ ხომ ვნახავ! - პირდაპირ ემა რამბლის ნომერი ვუთხარი. მე საკუთარი ტელეფონი ჯერ არა მაქვს, შობისთვის მექნება და შემრიცხვა თქმა. სულ ცდილობ, არ მოვიტყუო და არ გამომდის, რა!

ახლა წარმომიდგენია, ემა ამნამსვე სურათს რომ მიიღებს, ჯერ რომ ვერ მიხვდება, რაშია საქმე, მერე რომ ჩავალ და ამ ჩემს თავგადასავალს დაწვრილებით მოუყვები და თანაც ერთად რომ ნავალთ ნეშვილში საშობაო პერფორმანსზე ყვავილებით და ბოლოს სცენაზე ავალთ და დედოფლურად გამოწყობილ მთავარ გმირს მივართმევთ, ის კი ორ თითს ორივე მხრიდან პირში შეიყუოს და იმდენ ხალხში დაუსტვენს, რომ მეც მასწავლოს!



ზოია ვაშაძე

სონეტები



„ ის მინდორი თუ გახსოვს... „

ცისფერთვალა და ქერათმიანი პოეზია რომ ქალწულებრივ შეცურდება ზღვაში და შენ, ნაპირზე შთენილი, სასოებით და მიუწვდომლის სინანულით შესცქერი - სწორედ ასეთი შეგრძნება გიჩნდება, როცა ზოია ვაშაძის შემოქმედებას ეცნობი. ეს რამდენიმე წელიწადია, იგი შესაშური გულითალობით, თანმიმდევრულად და ბევრთად ირჯება არა მარტო თემატური მრავალფეროვნების, არამედ ფორმობრივი მრავალმხრიობის მისაღწევად და მე არ ვიცი მეორე ქალი პოეტი, ამ მხრივ ასე უშიშარი, უდრეკი და შეუპოვარი იყო.

ჩვენ ვებრძვით დამყაყებას, უძრაობას და როგორ შეიძლება სიახლისაკენ მოძრაობა დავუნუნოთ ვისმე? ამ მხრივ ზოია ვაშაძის შემოქმედებითი სიახლეა ის, რომ ხელი მოჰკიდა ისე რთულ ფორმას, როგორცაა სონეტი.

დღეს, ლიტერატურაში სონეტები ფრთხილად ეკვილი ფრთხილდებიან არიან და გეჩვენება, საგანგებოდ ჩამდგარან ამ მდგომარეობაში, რა არის, დღეს იქნება თუ ხვალე იქნება მოულოდნელად აფრთხილდენ და მთელი ძალით შეკრან კამარა.

ვიცი: სონეტი მძიმე ფიქრს, სევდასა და უმწვავეს კითხვებს მიელტვის, ასეა - ლელვას მგერის ღამე, საოცნებო, შავი და რთული, ვუვალვ სევდას, ისე როგორც სევდის წესია, ჩემს საწუგემოდ ჩემს ქალაქში დგას ეკლესია, სად იღუმალის შესაცნობად მიიწევს გული.


იღუმალა და იღუმალის შეცნობის ნადილი გვზრდის და გვზდის პოეტებად, რომ არა ეს, პოეტიც აღარ დაიბადებოდა. ამ აზრს კიდევ უფრო გვიმძაფრებს სხვა სონეტი:

ის მინდორი თუ გახსოვს თეთრი გვირილიანი მკერდზე რომ ადნებოდა სავეს მთვარე, გვიანი, ლელის ტკბილი ჩუხჩუხი, სანაპირო ქვიანი, იქვე ბორცვი, ფერდობი, მწვანე მოლი, ცვრიანი, რა ცა იყო, ხომ გახსოვს - ღრმა, სუფთა და კრიალა, რამდენ რამეს ვამბობდით, იმ ერთ სიტყვას კი არა!

ავტორი იცნობს ცხოვრებას, ეს ცოდნა მოჩქევს ცალკეული ტაქებიდან, მაშინაც, როცა „მთვარე ალვის კენწეროს ალერსით გააოცებს“ და მაშინაც, როცა „ხსოვნის მუზეუმში დევს ბაფთა და სარაფანა“ და კიდევ უფრო მეტად, როცა „სურათიდან გადმოდის დედის სევდა ტკივილი“.

ჩემი პატარა გამომხაურება მინდა დავასრულო ფრთხილი ვარაუდით: სონეტების ამ კრებულმა უნდა შეძლოს გულისყურისანი მკითხველის ყურადღების მიქცევა და მაშინ აღსრულებულად ჩაითვლება ავტორის ნატვრად: ნეტავ მზე ვიყო, რომ ერთხელ მაინც, ჩემკენ მობრუნდეს ეს მზესუმზირა!

მურმან თავდიშვილი



შონა სხალაია

გაქცევის ბელოვნება

მთელი ცხოვრება მისთვის ხელოვნება იყო, - გაქცევის ხელოვნება. სულ იქით მიიქცეოდა; საითაც ატყუებდნენ: ჭირი - იქ და ლხინი - აქაო... ისიც, თითქოს, მშვიდად იფერებდა უბრძნოთა სიცრუეს... არადა, სულ ცეცხლი ეკიდა.

ოპის გარეშე

დღის და სინათლის მოლოდინში განვლილი დროა ღამე... განა იმისთვის ათენებ, რომ მისი ტრფიალი ხარ... ის შავია, მდუმარე და უხმო, როგორც მარადისობა, ანუ - მარადისობის შესავალი, ...მარადისობის ექსპოზიცია... და შიშით ვერ ხუჭავ თვალებს... რამხელა უფსკრულებს დაუღიათ პირი ამ ღამის გარეთ...

შორს რაჩხენილოთათვის

არ ისწავლება სამშობლოს სევდა, არ იზომება სივრცით მამული, არ წაიშლება წარსულის ხსოვნა - არც უამური, არც - საამური. წამოგენევა ერთ მშვენიერ დღეს, ცხრა მთა, ცხრა ზღვა რომ გადაიარო... მას, როგორც სიკვდილს, ვერ გაექცევი, გულში დაგივლის გრძნობა ხვიარა. დაგესიზმრება საფლავი მამის და თმაგაშლილი - ადგილის დედა... ამო-ტკივილი - გარდასულ უამის... არ ისწავლება სამშობლოს სევდა.

როგორც ბეჯითა მოწაფემ, ვეცადე, გამეხსნა ყველა ფრჩხილი:

ტოლობების, განტოლებების, უტოლობების (წარმატებით და წარუმატებლადაც)... ქარაფშუტა პოეტივით ფანტაზიაც მშველოდა და რა სახელი არ დავარქვი ყველაფერს... სიხარულის წვეთი მდინარედ თუ არ მიქცევი, ჭიქა წყლის მაგივრობას მაინც მიწედა, აღმართ-დაღმართები ისე ავიარ-ჩავიარე, რომ ნაკლებად მესმოდა ჩემი არითმიული გულის ძგერა... და როცა ჯამი - (გამართლება იმისა, ღირდა კი?) ხელისგულზე დავიდე, აღმოჩნდა, რომ მთავარი გამორჩენილა... ჩალის ფასიო - არა... მაგრამ მაინც მაღლი ცოტა ჰქონია იმას, რაც იყო (ან არც იყო)...

შემოცემის წარსვალის

ციური ხარატიშვილის ხსოვნას

ხარაგაულის მთები. ნითელ-ყვითელი ფარჩით... მე დამიმძიმდა წლები, შენ ოცდახუთის დარჩი.

რამ წაუკიდა ცეცხლი შენს ნაქორწილევ კაბას... სად გაქრა ბუდე მერცხლის და სიყვარულის საგა...

სად არის შენი სწორფერი, ვინ შეიფერა ნეტავ... სადა გყავს შენი პატარა, სიმწრით გამქრალი დედა...

ჩემო ქათქათა, ლამაზო, თვალბუფახურა გოგო, ხომ იყავ ჩემი მენამლე, მეც მყვარებიხარ როგორ...

ხარაგაულის მთები, ნითელ-ყვითელი ფარჩით... მე დამიმძიმდა წლები, შენ ოცდახუთის დარჩი.

თუ ბედისწერამ კიდევ ერთხელ ჩამოგვარიგა და ისევ გვექნა უსიერი გადმოსალახი, მაშინ - უარი ქვეყნად მოსვლას ადამიანად, შენ წვიმად მოდი, მე ვიქნები მწვანე ბალახი...

არ ვიცი, როგორ მოგმართო... რა გინდოდა, რას მერჩოდი, ცაში რომ ამაფრინე ამ ტალახიდან...

გმადლობ ელვარე წამისათვის... მაგრამ, ვაი, მიწაზე დაცემის ტკივილს...

ბედნიერები ლექსებს არ წერენ... (ბედნიერება დუმს)... ნეტარებამ ცეცხლი არ იცის...

გახსენება - მარტი, 1959

შენ ცად ამალღდი, ფრთებმა აგზიდეს, შენ არ მოგიკლავს თავი, შენ ღმერთთან გასურდა, გასრულდა მინა - როგორც ზმანება ავი. შვილი უსულო - ადგილის დედას, სული - დიდების უფალს. შენი დაცემა ჰგავდა აფრენას მაღლა - უფრო და უფრო... ამოიკანრა მიწამ ტკივილი შენი დაღლილი ხელით. იყო სიჩუმე, ზარდაცემული, წვეთდა ღვთისმშობლის ცრემლი.

სილოვები წარსვალის

ვუძღვნი ჩემს ძვირფას მასწავლებელს ანა (ანიკო) საბეკია-ლუკავას ხსოვნას

ხელმწიფის ბაღში ისპაჰანის ფარჩის შრიალი, ავი ზმანება ბედისწერის - ტანის, ტატანის... ზარის ზანზარი... იდუმალი რისხვის უღრიალი, წატანებული ბედისწერას ნება სატანის. ხელი განგების უკანასკნელ ფურცელს გადაშლის, ტრიალებს ჩარხი წუთისოფლის, მზე დაბლა ინევს... ცეცხლს წაუკიდებს სიყვარული ბესიკ გაბაშვილს და სასაფლავე, უცხო ცის ქვეშ, გულს გახსნის მიწა...

შუქრი მირცხულავას ხსოვნას

გადამჭენარი ჭალა, გადამხმარი ლელი... შემოდგომის ღამემ სევდა იცის ძველი... არსად, არსად, არსად შენი ალი-კვალი... აღარც წვეთი ცრემლი საყვარელი ქალის... მცემს სიმძიმე გულზე მუხატგვერდის მიწის, შემოდგომის ღამემ ძველი სევდა იცის.

ერთ დროს - გაბიბინებული... ახლა უკვე განწირული, გამხმარი ხის უკანასკნელი ფოთლები საუკუნის სევდას აშრილებენ მაისის ქარში...



თამაზ ბარჯაძე

თბილისი

ნისლივით იდგა მდულარე ორთქლი, როცა ხოხობი ველარ აფრინდა... მსუბუქი, როგორც გაფრენა ფოთლის, მზე ჩამოიქცა ცის ქარაფიდან. მეფურ სიმშვიდით სრული და საესე, გამარჯვებული ქართლის ზიარი თქვა სეფე სიტყვა... თბილისის თავზე დროშა აღმართა „გორგასლიანი“!

ვინ შემოაო

ვინ შემოაო წუხელ ჭიშკარი? - თითქოს ვილაცამ ღამე გასწია და ქარი - ფრთხილი და უშოშარი ელვამ მკლავებზე გადაარწია... და გადიოდა როცა ეზოდან, თითქოს არეულ სიზმარს მპარავდა, მიღეულ ქარის კენესა მესმოდა, ან რომ ეცადა, ვით დაფარავდა?..

თიბათყე

გაისრიალა ცელმა და გველმა, ჯარისკაცვით კვდება ბალახი. დამარცხებული სულების გვემა, მერე ზვინების საძმო სამარხი.

მე კი, მზის კოცონს გარშემო ვუვლი, სანამ სექტემბრის ქარი დაუკრავს. მაინც ჩემია ეს სასწაული, თუმც სასწაულის ამ დღეს რა უგავს...

მზის სხივს ყვავილი უჭირავს კბილით, გადარჩენილი ცელის აღმასებს... მაინც ჩემია ეს სასწაული, მაინც ჩემია ეს სილამაზე...

გუჩხელოვ

გურხელა - ამალღებული საფიხვნო ადგილი ჩემს სოფელში

ავდივარ აღმართს, ვისვენებ წამით, მზეს სიყვარული ვინ გაუმხილა?... ფიქრი სულიდან ველარ დავძარი - ფეხისგულელებით მიცნო გურხელამ.

ძეგლივით ვდგავარ...და ვზომავ მანძილს იმ სიანციდან ამ სიმუნჯემდი და ჩემი როლი - ბედნიერ კაცის და ჩემი სისხლის ყველა უფრედი

უკვე სხვაგვარი ცახცახით მართობს, გადაიკარგნენ სადღაც ბავშვებიც... შენ გვირილებთან გაჩნდები მარტო - დედოფლობანას მეთამაშები... და შენი ნორჩი ლიმილის შოლტი სულს მიპობს, როგორც ელვის ნასხლეტი. გურხელა... დილა... როგორ დავშორდი, როგორ მენდე და როგორ წახვედი...

ახლა კი ძეგლად ვიქეცი თითქოს, გაცქერი სივრცეს თიხის თვალბით... გახსოვს გურხელა და ცრემლის სითბო და ნამიანი მზის მწვერვალები?...

ფრთი ფრთი

თოვლის ხილვით ვით შეიცნობ ფიფქებს, კაცის ხილვით - მის ტკივილს და ვარამს! ჩემთვის ვფიქრობ, მათ კი სიბრძნედ მიქეს, მომიტევეთ, ჩემთვის ვფიქრობ, წყნარად.

იდუმალი სხივი მიდგას თვალში, თოვლი მკვდარი ფიფქებია მხოლოდ. თოვდა, თოვდა... რა ვიცოდი მაშინ - ერთი ფერი შემრჩებოდა ბოლოს.

ლოყვანდელი აპრილი

დღევანდელი აპრილი ექებს სულ სხვა აპრილებს, ჩადგა ქარი დაღლილი, ალბათ გაინაპირებს...

როგორც დროშა დახრილი მწუხარებას აგრძელებს, როგორც ღრუბლის მარხილი, მზისკენ ქროლავს აპირებს...

ორთქლი ასდის ნამდვილი ჩემი სულის საკირეს! ყვავილები კოცნიან გადათელილი ბილიკებს... ღამეს - მთვარის ძონიანს მე ვინ შემომირიგებს...

დღევანდელი აპრილი ფერთა სიბრძნის მსგავსია... დღევანდელი აპრილი სიყვარულით სავსეა...

იოვან სიმშვიდე

ყაყაროვით ალენილ მიწდორს, ლაყვარდებთან რომ ჰქონდათ ნიშნობა და ჩამავალი მზე ისე ენთო, თითქოს აპრილი ხელებს იშრობდა...

ჰყვოდა თეთრი ნისლის თალარი, შემოეხარჯათ ღრუბლებს წვიმები. იდგა სიმშვიდე და უთვალავი ეკიდა ფოთლებს ვერცხლის მძივები...

და სანთობო გაიხსნა სივრცე, დილის მაღლით და მზის თბილი კოცნით... გავესენი გული და უკვე ვიგრძენ, როგორ ივსება თვალები ლოკვით.

თინტობა

თენდება, მაგრამ ღამდება უცებ - სიკვილ-სიციოცხლის ჩაკეტილი წრე! მოგტაცებ ღრუბელს ვერცხლისფერ კურცხლებს,

მინიერობას წამით ვივინყებ. მივიპარები ზეცისკენ მშვიდად, გზაზე ბილიკად დამიგეს ხავსი. ჩემი ვარსკვლავი ოქროს კვირტს შლიდა, სხვა ვარსკვლავების არ იყო მსგავსი!

ჰყვოდა კვირტიც, როგორც ცხოვრება, ჰყვოდა ხავსიც... და აღარ ვიცი, დღეს დედამინა რად შემორება, ან იმ ვარსკვლავით რად არ დავინვი?

თენდება, მაგრამ ღამდება უცებ, შემომანება სიმღერა ძველი. ღრუბლის სიგრილეს ადვილად ვუძლებ, დედამინაზე ყოფნაა ძნელი!



უკვე მერამდენე წერილს ვწერ თეატრის საკითხებზე პრესაში გამოქვეყნებულ მასალებსა თუ ტელევიზიებში გასულ სიუჟეტებზე, რომლებიც თეატრალურ საკითხებს ეხება. სამწუხაროდ, გამგონი არავინაა, ვინაიდან მასმედიის ხელმძღვანელები თავიანთი ჟურნალისტიკის პროფესიონალიზმს არც ამოწმებენ და არც აინტერესებთ, რითაც თავადვე ხდებიან დაციინვის ობიექტები. ამჯერადაც მინდა გავაცნოთ დაუჯერებელი კუროზები, რომლებსაც წავეწყვიტე და დაჯერებაც გამიჭირდა. ვფიქრობ, ასე მომრავლებულ უნივერსიტეტების ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე უფრო სერიოზულად უნდა მიუდგინებ ხელოვნების სწავლებას და ხელოვნების სპეციალობით სპეციალური კურსია მოსამზადებელი. ჟურნალისტიკის ავლენენ წარმოდგენელ უვიცობას, ფაქტებს დამახინჯებულად წარმოადგენენ და ქართულ კულტურას დათვურ სამსახურს უწევენ. აღარაფერს ვამბობთ მათი თავმოყვარეობის შელახვაზე, რაც დიდად არ აწუხებთ.

ახლახან, საინფორმაციო სააგენტო „რეპორტაჟი“ (report.ge) გავრცელა ინფორმაცია (8.08.2021), რომ თბილისის კრწანისის რაიონის ერთ-ერთ ქუჩას კახი კავსადის სახელი მიენიჭა. სამწუხაროდ, ამ სააგენტოში არ იცნან, რომ ეს დიდი მსახიობი საქართველოს სახალხო არტისტი იყო და მხოლოდ დამსახურებულ არტისტად მოიხსენიეს. ამასთანავე, სააგენტოში არ იცნან, რომ კოტე მარჯანიშვილის პრემია არ არის სახელმწიფო პრემია და მას საქართველოს თეატრალური საზოგადოება ანიჭებს.


ჟურნალისტიკებს უვიცობაში არც მაშინდელი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ჩამორჩა და თეატრის არსი და დანიშნულება „ჯიგრაულად“ ახსნა. პარლამენტში გამოსვლისას დეპუტატ ნუკრი ქანთარიას შეკითხვაზე, თუ როდის გეგმავს ხელისუფლება სახელოვნებო დაწესებულებების ამოქმედებას, „ორატორმა“ აღნიშნა, რომ ესმის, სასურსათო უსაფრთხოებასთან ერთად ადამიანს სულიერი საზრდოც სჭირდება: „ისე უნდა გავაკეთოთ ეს, რომ რაღაც რისკები არ შევქმნათ. თეატრი ცოტა სპეციფიური უანია, იქ დრამა, სხვადასხვა სცენები არსებობს და ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ, მთლად სპორტიც არ არის, ამიტომ ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად სწრაფად გავაკეთოთ ყველაფერი.“ თუ ვინმე ლოგიკურად მოაზროვნე ამ აბდაუბდისგან საღ აზრს გამოიტანს, მართლაც „ჯიგარი“ იქნება. პრემიერ-მინისტრი სასურსათო პროგრამასა და პანდემიის ნაწილად მიიჩნევს თეატრს. თუმცა არ იცის, რომ თეატრში დრამის გარდა ტრაგედიასა და კომედიის უანრებიც არსებობს. თუ „დრამატული“ სპექტაკლი იქნება, ეს თურმე ძალიან „სარისკოა“ (რატომ არის სარისკო, ვერ განმარტა), მაგრამ რა ანალოგიით მოიხსენია სპორტი, გაურკვეველია. ვიცით, რომ თეატრი სპორტი არ არის და მათ შორის დიდი სხვაობაცაა, მაგრამ რა კონტექსტში განავითარა თავისი „ლოგიკა“ და როდის გაიხსნება თეატრები, სამწუხაროდ, გაურკვეველად დარჩა... ამას გარდა, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა მიივიწყა მნიშვნელოვანი პრობლემა – კულტურის სამინისტროს გამოყოფა არსებული განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემიდან, რომლის დადგენილებაც მინისტრთა კაბინეტმა მიიღო. ამას

გარდა, წარმოდგენილია გ. გახარიას საქართველოს ისტორიის ელემენტარული არცოდნა, რაც მე-4-5 კლასის სკოლის მოსწავლეს არ ეპატიება. სად წაიკითხა, ან სად მოკრა ყური, რომ არგონავტები ქართველები იყვნენ და არა ბერძნები?! სამწუხაროა, რომ

ვსევლოდ მეიერხოლდი თავის დასთან ერთად საგასტროლოდ იმყოფებოდა რუსული დრამის თეატრის შენობაში და არ უმუშავია გრიბოედოვის თეატრში. 1932 წლის სექტემბერში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით შე-



თეატრზე წერა პროფესიონალიზმს პოითსოვს



არც ერთმა ისტორიკოსმა ამაზე ხმა არ ამოიღო და სათანადო პასუხი არ გასცა. გრიბოედოვის თეატრის ფოიეს კედელზე მიმაგრებულია ამაგდარ რეჟისორთა ბარელიეფები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ თეატრის შემოქმედებით ნინსვლაში. ეს ბარელიეფები 1970 წელს დამზადდა საქართველოში რუსული დრამატული თეატრის არსებობის 125 წლის საიუბილეოდ და კომუნისტური იდეოლოგიის კვალი ატყვია, ვინაიდან მეიერხოლდის მუშაობა საბჭოთა პერიოდში შექმნილ გრიბოედოვის სახელობის თეატრს დაუკავშირა. ჩემი ყურადღება მიიპყრო წარწერამ: „В театре им А. С. Грибоедова в 1904-1906 и 1927 г.г. работал великий режиссер Всеволод Эмильевич Мейерхольд.“ სამწუხაროდ, ათეული წლების მანძილზე ვერავინ შეამჩნია, რომ დიდი რუსი რეჟისორი თავის დასთან, „ახალი დრამის ამხანაგობასთან“, ერთად მუშაობდა ტფილისის რუსულ დრამატულ თეატრში. ნიგნში „რუსული თეატრი საქართველოში 170“ აღნიშნულია, რომ მან საქართველოში ფაქტობრივად სამხატვრო თეატრის ფილიალი ჩამოიყვანაო (გვ. 33) და დასი ჩამოაყალიბა სამხატვრო თეატრის ყოფილ სტუდიელთა მსახიობთა-ნამოაზრეებისგან (გვ. 34). 1927 წლის ზაფხულში კი მისი სახელობის სახელმწიფო თეატრმა საგასტროლო ტურნე ჩაატარა: ბაქო-თბილისი-კრასნოდარი-დონის როსტოვი-ხარკოვი, ლენინგრადი. ორივე ფაქტიდან გამომდინარე,

იქმნა თბილისის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი. ამდენად, თეატრის ისტორია ამ წლიდან იწყება და ვს. მეიერხოლდთან არავითარი კავშირი არ აქვს. სხვა საკითხია საქართველოში რუსული თეატრის ტრადიციების არსებობა, ცალკეულ დასთა, თუ მოღვაწეთა გასტროლები, რაც ერთმანეთში არ უნდა აირიოს. დასაზუსტებელია კოტე მარჯანიშვილის ბარელიეფის წარწერაც: „В театре им А. С. Грибоедова в 1932 г. работал великий режиссер Константин Александрович Марджанишвили.“ სინამდვილეში მან ერთი სპექტაკლი დადგა, მაქსიმ გორკის „ფსკერზე“, რომლის პრემიერაც 3 ნოემბერს გაიმართა. ამდენად, კოტე მარჯანიშვილი ამ თეატრის დამაარსებელი არ არის. გრიბოედოვის სახელი კი თეატრს მხოლოდ 1934 წლის ოქტომბერში მიენიჭა. სამწუხაროდ, აი, რამდენი უზუსტობაა ამ ორი ბარელიეფის შვიდ-შვიდ სტრიქონიან წარწერებში. 2015 წლის 5 დეკემბრის ტელეკომპანია „იმედის“ სიუჟეტში, ჟურნალისტიკა სალომე შანშიაშვილმა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში ახალი საგამოფენო დარბაზების გახსნაზე წარმოდგენილ რესტავრირებულ კოსტიუმების გამოფენაზე კინოფილმიდან „გიორგი სააკაძე“ გიორგი სააკაძის ნაცვლად გიორგი ისაკაძე მოიხსენია. ამასთანავე აღნიშნა „მეფეებისა და დედოფლების ხუთ ისტორიულ კოსტიუმს პირვანდელი

სახე დაუბრუნდათ“. ჟურნალისტიკა უნდა იცოდეს, რომ ეს კოსტიუმები სპეციალურად ამ ფილმისთვის შეიკერა და „ისტორიული“ არ შეიძლება იყოს. ჟურნალისტიკა ყურადღება არ მიაქცია ამ კოსტიუმების გვერდზე წარმოდგენილ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც კოსტიუმები ალაღვინეს ოქროს ძაფითა და მარგალიტებით, რაც ომის დროს წარმოებული კინოგადაღებისას შეუძლებელი იყო. იმავე წლის საზოგადოებრივი ტელევიზიის მიერ ლადო მესხიშვილზე მომზადებულ სიუჟეტში ითქვა, თითქოს იგი საქართველოს თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. სინამდვილეში, საქართველოს თეატრალური საზოგადოება 1945 წელს დაარსდა აკაკი ხორავას ინიციატივით. ამ დროისთვის, კი ლადო მესხიშვილი 25 წლის გარდაცვლილი გახლდათ. უფრო მძიმე ვითარებაა ინტერნეტში განთავსებულ მასალებში. საიტზე Nostal.ge თამარ ოთი-აშვილის სტატიაში: „შეუდარებელი ოტელიო – რატომ აუნთო ასანთი ჩარლი ჩაპლინი ლონდონში აკაკი ხორავას?“ რამდენიმე უზუსტობაა. იგი წერს, რომ სტალინმა თავისი სახელობის პრემია სწორედ აკაკი ხორავას გამო დააწესა და 1946 წ. 26 იანვარს პირველი ხარისხის სტალინური პრემიის ლაურეატი გახდაო. სინამდვილეში ეს პრემია 1939 წლის 20 დეკემბერს დაარსდა და 1941 წელს პირველად პეტრე კავიძეს მიენიჭა. ავტორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ აკაკი ხორავამ პირველი კინოროლი „დაკარგულ სამოთხეში“ შეასრულაო. სინამდვილეში ფილმს „დაკარგული საუნჯე“ ერქვა. აგრეთვე აღნიშნულია, რომ ბოლო როლი იყო კარლ მოორი რ. ებრაღიძის პიესაში „თანამედროვე ტრაგედია“. სინამდვილეში ამ როლს ერქვა პროფესორი მოორი, ხოლო კარლ მოორი მან 1933 წელს ითამაშა შილერის „In Tirannos“ („ყაჩაღებში“). ფაქტობრივ შეცდომებს ვხვდებით ვარლამ როდონიას სტატიაში „აკაკი ხორავა – ოჩხომურელი ლეგენდა“ (ჩხოროწყუს მუზეუმის ჟურნალი „მოამბე“). იგი აღნიშნავს, რომ აკაკი ხორავა რუსთაველის თეატრს 1935 წლიდან ხელმძღვანელობდა. სინამდვილეში კი ბატონი აკაკი თეატრის სამხატვრო საბჭოსა და სარეჟისორო კოლეგიის წევრი გახლდათ, ხოლო დირექტორად 1949-55 წლებში მუშაობდა. შემდეგ გვაუწყებს, რომ 1949-55 წლებში თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო, ხოლო 1959 წლიდან მისი დირექტორი. ფაქტობრივად, ბატონი აკაკი ინსტიტუტს 1939 წლიდან ხელმძღვანელობდა. შემდგომი შეცდომა ისაა, რომ აკაკი ხორავა თეატრალურ საზოგადოებას არა 1957-60 წლებში, არამედ 1945-48 და 1959-60 წლებში თავმჯდომარეობდა. სამწუხაროდ, ერთ აბზაცში სამუხებმ შეცდომას ვხვდებით. ეს ბოლო შეცდომა ბიოგრაფიულ ლექსიკონშიც მეორდება, სადაც აღნიშნულია, თითქოს, აკაკი ხორავა თეატრალურ საზოგადოებას 1945-47 და 1957-60 წლებში ხელმძღვანელობდა. უზუსტობაა შალვა დადიანის მონაცემებშიც. იგი თეატრალურ საზოგადოებას არა 1950-59, არამედ 1948-59 წლებში თავმჯდომარეობდა. ბევრი ჟურნალისტი ვერ არჩევს ერეკლე II-ის დროის პროფესიონალური თეატრის შექმნასა და გიორგი ერისთავის მიერ 1850 წ. გიორგი ერისთავის მიერ

პროფესიული თეატრის აღდგენის გარემოებებს. გიორგი ერისთავის მიერ თეატრის დაარსებას ამტკიცებს ნათია სვანიძე (Kutaisipost.ge), ავტორი ასევე წერს, რომ ქართული თეატრის დღის აღნიშვნას 200 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვსო. მას ეს თარიღი ერეკლე II-ის პერიოდის თეატრის დაარსებაში. გიორგი ერისთავის მიერ ქართული თეატრის აღდგენის ნაცვლად დაარსებას „ამტკიცებენ“: „ვიკიპედია“, „ucnauri.com“, „city.kvira.ge“, „google.ge“ (ავტორი მ. ნიბახაშვილი), „frontnews“ (2019), „ფეისბუქი“ (2015), „არტინფო“ (2015), ხოლო „ინტერმედიის“ ცნობით (ავტორი თეონა გორდუზიანი. 2016 წ. 14 იანვარი) პირველი სპექტაკლი „გაყრა“ თურმე 1853 წელს გამართულა. მხოლოდ რამდენიმე სააგენტო აღნიშნავს, რომ გიორგი ერისთავმა ალაღვინა პროფესიული თეატრი. ვიკიპედიის ცნობით, თურმე გიორგი ერისთავის მიერ ჩამოყალიბებულმა პირველმა პროფესიულმა დასმა არსებობა 1851 წელს დაიწყო (ალბათ, პირველ საოპერო წარმოდგენაში აერია) და არა 1850 წელს... კუროზულია conkordtrevel.ge-ს სტატია „ქართული თეატრი და კინო“. მასში აღნიშნულია, რომ პირველი კინო თბილისში 1886 წელს უჩვენებიათ, მაშინ როდესაც კინოს დაბადების თარიღად 1895 წელი აღიარებულია. აგრეთვე აღნიშნულია, რომ XX ს. რუსთაველის თეატრში იდგმებოდა შექსპირისა და ბრესტის საერთაშორისო წარმოდგენები. უცნობ ავტორს ალბათ სურდა ეთქვა, რომ უცხოელ ავტორთა პიესები იდგმებოდაო... ასევე უნდა ითქვას, რომ 1949 წელს რუსთაველის თეატრი დაიწვა და არა ოპერის თეატრი. ზოგიერთი სააგენტო თეატრების ფოტოებსაც ვერ ანსხვავებს. city.kvira.ge (2017. 14.01) „იუწყება“, რომ გიორგი ერისთავის პირველი სპექტაკლი დღევანდელი თბილისის №1 სკოლაში შედგაო და საილუსტრაციოდ გორის თეატრის დარბაზის ფოტო გამოქვეყნებული. მეორე შეცდომა ის გახლავთ, რომ ამ სკოლას თბილისის კლასიკური გიმნაზია ეწოდება. ერთ წინადადებაში ორი ფაქტობრივი შეცდომა დაუშვებელია. Ipress.ge ქართული თეატრის ჩატარების ადგილად თელავის თეატრს აცხადებს და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფოტოს დებს. Megatv.ge კი ქუთაისის თეატრის ფოტოს გვთავაზობს. ამ უვიც ავტორთა აზრით გიორგი ერისთავს „გაყრა“ ერთდროულად რამდენიმე თანამედროვე თეატრში ჩაუტარებია. სამწუხაროდ, არავის მოსვლია აზრად, საყოველთაოდ ცნობილი კლასიკური გიმნაზიის ისტორიული დარბაზის ფოტო შეთავაზებინა საზოგადოებისთვის... ჟურნალისტიკისგან მსგავსი უვიცობა დამაფიქრებელია. აუცილებელია, უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ისწავლებოდეს ქართული თეატრის ისტორია, ვინაიდან უხერხულ მდგომარეობაში არიან არა მარტო ავტორები, არამედ სხვადასხვა ტელევიზიისა და სოციალურ ქსელთა ხელმძღვანელებიც. დაუშვებელია საზოგადოების ასეთი დეზინფორმირება და მისთვის ყალბი ინფორმაციის მიწოდება. თეატრის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტიკებს ელემენტარული ცოდნა მაინც უნდა ჰქონდეთ, რომ შეძლონ მეტ-ნაკლებად ნორმალური მასალების მომზადება.

გუბაზ მებრელიძე

